კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№45 (1635) 16 — 22 ნოემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ იყენებენ მიცვალებულებს ნარკოტიკების გასასაღებლად

„მარიხუანასა“ და მძიმე ნარკოტიკების გავრცელების სკანდალური სქემები

„ნაცმოძრაობის“ კრიტიკული დღეები

როდის დაიწყო პარტიული ბუნტი ნიკა მელიას წინააღმდეგ

რა გზა განვლო ყოფილმა მმართველმა პარტიამ დაარსებიდან დღემდე

პენსია, საჯარო მოხელეთა, პოლიციელებისა და ჯარისკაცების ანაზღაურება იზრდება

საქართველოს მთავრობა მომდევნო წელს 21 მილიარდ 154 მილიონი ლარის ხარჯვას გეგმავს – 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რატომ არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი უკრაინისთვის ხერსონის დაბრუნება

მამუკა არეშიძე: „პუტინი ძალიან რთულ ვითარებაშია“

„ნაცმოძრაობის“ კრიტიკული დღეები

ნინო დოლიძე

რა გზა განვლო ყოფილმა მმართველმა პარტიამ დაარსებიდან დღემდე

მხოლოდ ოპონენტები კი არა, გულმხურვალე მხარდამჭერებიც კი ხვდებიან, რომ ენმ-ში „რაღაც“ რიგზე ვერ არის. ახლა, იგივე ძირძველ „ნაცებს“, შესაძლოა, არ უნდათ დაიჯერონ, მაგრამ ფაქტია – ყოფილი მმართველი პარტიის უძლეველობა თანდათან წარსულს ბარდება. ისე, პატიმრობაში მყოფ მიხეილ სააკაშვილსაც კი უთქვამს, რა დროს ეს არისო ანუ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ნაცმოძრაობაში“ ბუნტია, ოღონდ საკითხავი ის არის, ბუნტს ვინ ვის უწყობს – ნიკა მელია სააკაშვილის ერთგულ მიმდევრებს თუ პირიქით, სააკაშვილის ერთგული მიმდევრები – მელიას? ასეა თუ ისე, ფაქტია – ენმ-ს კრიტიკული დღეები უდგას. ჰოდა, ამ ფონზე, ალბათ, უპრიანი იქნება, რომ ექსმმართველი პარტიის ე.წ. დაბადებას და ზოგადად, მის პოლიტმოღვაწეობას თვალი გადავავლოთ... ისე, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ენმ-ში ბუნტი იწყება. ამ მხრივ, ყველაზე გახმაურებული გიგა ბოკერიასა და მისი თანამზრახველების მიერ პარტიის დატოვება შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ბოკერია ენმ-დან წლების წინ გაიქცა და მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა კი ყოფილი მმართველი პარტიის „ხელში ჩასაგდებად“ ისეთი ადამიანები იბრძვიან, რომლებიც საზოგადოებამ არცთუ დიდი ხნის წინ გაიცნო, თუმცა დღეს „ვერსია“ ამ ადამიანებზე კი არა, არამედ, ენმ-ს „დაბადებაზე“ გიამბობთ. მაშ ასე, დავიწიყოთ.

ლამის, ორი ათეული წლის წინ, პარტიას რომ აფუძნებდა, ქართული პოლიტიკის მაშინდელი ამომავალი ვარსკვლავი ანუ მიხეილ სააკაშვილი, ალბათ, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ დაუშვებდა, რომ ოდესმე დადგებოდა დრო, როცა ვიღაცები მისთვის „მშობლის“ უფლების ჩამორთმევას შეეცდებოდნენ, მაგრამ დღეს სააკაშვილი არათუ ლიდერი, არამედ, საკუთარი პარტიის რიგითი წევრიც კი აღარ არის...

ზოგადად, მნიშვნელობა არ აქვს, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გჯერათ თუ არა, ფაქტია: კაცობრიობა არაერთი ამოუხსნელი ფაქტისა თუ მოვლენის მოწმეა. ერთ-ერთი ასეთი ამოუხსნელი მოვლენა რეინკარნაციაა. აბა, თუ არა რეინკარნაცია, სხვა რითი უნდა აიხსნას, რომ ლამის საუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, გერმანული ამბავი, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით განმეორდა?! დიახ, ყველაფერი 21-ე საუკუნეში კი არა, გაცილებით ადრე, ბებერ ევროპაში დაიწყო:

ზუსტად იმ წელს, საქართველოში რუსული ბოლშევიზმი რომ შემოიჭრა, ავსტრო-უნგრეთის ქალაქ ინის ბრაუნაუში დაბადებული ახალგაზრდა კაცი გერმანული ნაცისტური პარტიის ლიდერი გახდება. ცხადია, ადოლფ ჰიტლერს აზრადაც არ მოსდის, რომ ზუსტად 80 წლის შემდეგ, ქვეყანაში, რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს და რომელსაც მზიან საქართველოს ეძახიან, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც მისი ნაცისტური პარტიის რეინკარნირებას განახორციელებს.

ვერ ვიტყვით, სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ჰიტლერის ნაცისტური პარტიის ალიკვალიაო, მაგრამ მიშასა და ადოლფს შორის საკმარისზე მეტი მსგავსება არსებობს – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როცა ნაცისტების ლიდერი გახდა, ჰიტლერი 32 წლის იყო, სააკაშვილმა კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 34 წლის ასაკში დააფუძნა.

„ჩვენ გვჭირდება ზომიერად აგრესიული ახალგაზრდები!“ – ცდებით, თუ გგონიათ, რომ ამ სიტყვების ავტორი ადოლფია. ეს ფრაზა იმხანად, როცა ნაცმოძრაობას ქმნიდა, მიხეილმა წამოისროლა და, მართლაც, ნაცმოძრაობა არაერთი „ზომიერად აგრესიული“ ახალგაზრდის ნავსაყუდელი გახდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ამ „ზომიერებამ“ აღვირი (ესეც პრეზიდენტყოფილის სიტყვაა – ამას წინათ, ბრძანა, აღვირი არ მაქვსო) დაკარგა და პირტიტველა გოგო-ბიჭები, რომლებიც, თავის დროზე, გულანთებული პატრიოტები გვეგონნენ და ვთვლიდით, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის უმწიკვლოდ იბრძოდნენ, ლამის, მონსტრებად იქცნენ.

ამ შეფასებამ ვინმეს, შესაძლოა, ნერვები მოუშალოს, მაგრამ ფაქტებს ვერსად გავექცევით! აი, ერთ-ერთი ფაქტიც:

დასასრული მე-3 გვერდზე

„ნაცმოძრაობის“ კრიტიკული დღეები

მე-2 გვერდიდან

ჰიტლერის ნაცისტურმა პარტიამ ჰოლოკოსტი შვა, სააკაშვილის ნაცმოძრაობამ კი პირდაპირ ეთერში, საფუძველი ჩაუყარა „ტრუსიკ-მაიკით დაჭერებსა“ და „ნულოვან ტოლერანტობას“.

საერთოდ, მიხეილ სააკაშვილს შეიძლება ბევრი რამ დავაბრალოთ. აკი, თვითონაც უთქვამს, ვიღაცები გიჟსაც მეძახიანო, მაგრამ რაც უნდა იყოს, ვერ ვიტყვით, რომ გაუნათლებელია. დიახ, პრეზიდენტყოფილი უდავოდ განათლებულია. ჰოდა, დაუჯერებელია, ვერ მიმხვდარიყო, იმის გამო, რომ საკუთარ პარტიას ნაციონალური მოძრაობა დაარქვა, ვიღაცები ჰიტლერს შეადარებდნენ, თუმცა თუკი ნლპ-ს (ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება – ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თანამედროვე მიმდინარეობა, რომელსაც, როგორც ამბობენ, მსოფლიოს ზესახელმწიფოების უშიშროების სამსახურები ხალხის სამართავად იყენებენ) ლოგიკას გავყვებით, შეიძლება, მივიდეთ დასკვნამდე, რომ მიხეილმა პარტიას ჰიტლერული სახელი მიზანმიმართულად დაარქვა.

ნლპ-ს ლოგიკითვე, შემთხვევითი არც „ზომიერად აგრესიული ახალგაზრდების“ ძებნა უნდა ყოფილიყო...

ერთ-ერთი პირველი, „ზომიერად აგრესიული“ ახალგაზრდა, ვინც სააკაშვილის გვერდით დადგა, ვანო მერაბიშვილი გახლდათ – 2001 წელს, „ვაშინგტონ პოსტმა“ იმ დორისთვის, პრაქტიკულად, უცნობ მოქკავშირელ დეპუტატთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელიც შევარდნაძის პარტიაში გამეფებულ მანიკიერებებზე ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა. პოლიტმკვლევარების შეფასებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაფუძნებას საძირკველი, სწორედ მერაბიშვილის ამ განცხადებით ჩაეყარა.

სხვათა შორის, ძველ დოკუმენტებში მიხეილ სააკაშვილი, როგორც პარტიის ხელმძღვანელი არ ფიგურირებს. ყოველ შემთხვევაში, იმ მასალის თანახმად, რომელიც Google-ის საძიებო სისტემაში მოიპოვება, პოლიტიკურმა გაერთიანებამ რეგისტრაცია 2001 წლის 29 სექტემბერს გაიარა (რეგ. №138) და მისი ხელმძღვანელი ზურაბ მელიქიშვილი იყო. ეს ის ზურაბ მელიქიშვილია, რომელიც ნაცმოძრაობის ზეობისას, მუდმივად ქართული პოლიტიკის ავანგარდში ტრიალებდა – ხან გავლენიანი პარტიული თანმდებობა ეკავა, ხან კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში საქმიანობდა, ერთხანობას, ქვემო ქართლის გუბერნატორიც იყო, ამის შემდეგ კი პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, მიშა წარსულს უფასებდა...

ამავე დოკუმენტით ირკვევა, რომ თავდაპირველად, სააკაშვილის პარტიას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი არა, „ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გადასარჩენად“ ერქვა.

რაც შეეხება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ამ სახელწოდების პარტია საქართველოში, პირველად, 1999 წელს გამოჩნდა და მას უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი მირიან მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, რაც ნაცმოძრაობა ოპოზიციაში გადავიდა და საქართველოს მართვის სადავეები „ოცნებამ“ აიღო, ბატონმა მირიანაშვილმა პარტიის სახელის დასაბრუნებლად სამართლებრივი ბრძოლა დაიწყო.

პარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ისტორია სულ რამდენიმე აბზაციითა მოყოლილი:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მიხეილ სააკაშვილის ლიდერობითა და ინიციატივით, 2002 წელს დაფუძნდა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო.

2004-დან 2012 წლამდე, ჩვენმა პარტიამ, ქართველი ხალხის მხარდაჭერით, არშემდგარი სახელმწიფო ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად ქვეყნად აქცია. საქართველო მსოფლიო ბანკმა ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად აღიარა.

2012 წლიდან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაშია.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დასავლური ტიპის, ღია პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც კოლექტიური მართვის ორგანოებისა და დემოკრატიული შიდა დისკუსიის საფუძველზე იმართება. შესაბამისად, მთელი ინფორმაცია ჩვენ შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია“.

ამ ოფიციალური ანოტაციით თუ ვისმჯელებთ, ნაცბელადები პარტიის ისტორიას თუ არ აყალბებენ, მინიმუმ, დეტალების დამალვას ცდილობენ. თუ ასე არაა, მაშინ საინტერესოა, ენმ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე იმის შესახებ რატომ არაფერია ნათქვამი, რომ ნაცმოძრაობის ავანგარდში, თავის დროზე, ზვიად ძიძიგურის კონსერვატიული პარტიაც იდგა და რესპუბლიკური პარტიაც? ყოველ შემთხვევაში, 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ნაცმოძრაობამ ბლოკი სწორედ ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტთან შექმნა. მეტიც, თვითმხილველებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ ამ გაერთიანების თანათავმჯდომარის ფუნქციას ლევან ბერძენიშვილი ასრულებდა, თუმცა როგორც ჩანს, ისტორიის „გადაწერა“ პოლიტიკოსთა მავნე სტილია.

ვებ-გვერდზე განთავსებულ პარტიის ისტორიის ოფიციალურ ანოტაციაში, ცხადია, არც იმის შესახებაა ნათქვამი, რომ 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ნაციონალებმა წარმატებას, სწორედ ზემოხსენებული ბლოკის ფორმატში მიაღწიეს და თბილისის საკრებულოში გამარჯვება ლეიბორისტებთან ერთად გაიყვეს. არადა, ეს ნაცმოძრაობის X-ფალში, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდია – ხალხური მითოსით, მიხეილ სააკაშვილის, როგორც პოლიტბელადის ჩამოყალიბებაში, გადამწყვეტი როლი, სწორედ შალვა ნათელაშილმა ითამაშა ანუ ქვეყნის მთავარ ლეიბორისტს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა რომ არ დაეთმო, მიშა ვერც „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმვირატის სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა და, შესაბამისად, ვერც – პრეზიდენტი.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ პოპულარობის ევერესტის დაპყრობა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მერე დაიწყო. სხვათა შორის, ამ არჩევნებში ნაცები ისევ რესპებსა და კონსერვატორებთან ერთად ანუ ბლოკის სახით მონაწილეობდნენ. შეაბამისად, რევოლუციების ღმერთებსა თუ დემონებს სამივე ძალამ სული, ალბათ, ერთად მიჰყიდა, თუმცა 2004 წელს, როცა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და საკანონმდებლო ორგანოში შევიდნენ, რესპებმა, ძიძიგურისა არ იყოს, ნაცებს ქოქოლის მიყრა დაუწყეს. ეს გაბლოკებაც, როგორც ჩანს, ზემოხსენებული პოლიტიკური ალგორითმის ნაწილი გახლდათ.

საერთოდ, ნაცმოძრაობიდან გაქცევა ერთგვარი ტრადიციაა და, როგორც წესი, პირწავარდნილი და მგზნებარე მიშისტები გარბიან ხოლმე. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულ „გამქცევად“, შესაძლოა, ირაკლი ოქრუაშვილი ჩავთვალოთ – თავდაცვის ექსმინისტრმა მიშას პარტია 2007 წელს დატოვა. მაშინ ამბობდნენ, რომ ამით ენმ-ს სერიოზული ზიანი მიადგებოდა, თუმცა ასე არ მოხდა – მიუხედავად იმისა, რომ „ოქროს“ გაქცევა სისხლიან 7 ნოემბრად და ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებად დაუჯდა, ნაცმოძრაობამ ორივე არჩევნებში მაინც დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია, თუმცა „დამაჯერებლობა“, ალბათ, გადაჭარბებული ეპითეტია, რამეთუ, დღემდე არსებობს ვარაუდი, რომ 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო და მაისის საპარლამენტო არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.

ნაცოძრაობიდან გაქცევამ მასშტაბური სახე 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მერე მიიღო, რაც ერთგვარ ტრადიციადაც იქცა: მას შემდეგ, რაც ცხრაწლიანი მმართველობა დაკარგა, ენმ ჯერ გოგა ხაჩიძემ, პავლე კუბლაშვილმა და კიდევ რამდენიმე ძირძველმა ნაცმა დატოვა, მალევე, მათ გზას გიორგი ვაშაძეც დაადგა.

ყოფილ მმართველ გუნდში დალხინებული ცხოვრება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ახლაა. ყოველ შემთხვევაში, ნაცებს შორის დაწყებული დაპირისპირება კულუარებს კარგა ხანია გასცდა და ერთ დროს, „ერთ მუშტად“ შეკრული გუნდის წევრები ერთმანეთს „დინგი-დუნიის“ დასანახად ასამარებენ და ამიწებენ.

რით დამთავრდება ეს „დამიწება“, მალე გამოჩნდება. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას...

როდის დაიწყო პარტიული ბუნტი ნიკა მელიას წინააღმდეგ

არჩილ გამზარდიას ანალიზი და შეფასებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა შიდა პარტიული არჩევნებისთვის ემზადება. სპეციალური სამუშაო ჯგუფი ახლა არჩევნების დეტალებს ამუშავებს და სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლოს ქვეყნის ყველაზე მრავალამომრჩევლიან ოპოზიციურ პარტიას ახალი თავმჯდომარე ეყოლება. ჯგუფი საბოლოო ვერსიაზე ჯერ არ ჩამოყალიბებულა, თუმცა მთავარი კრიტერიუმია, რომ არჩევნებში მონაწილეობა მაქსიმალურად ბევრმა ადამიანმა მიიღოს... იმ ინფორმაციის მიღმა, რაც მედიაში ვრცელდება, როგორც ამბობენ, დიდი პოლიტიკური ინტრიგები იმალება. ერთ-ერთი ვერსიით, კეზერაშვილი და მერაბიშვილი ნიკა მელიას უპირისპირდებიან და პარტიის თავმჯდომარედ საკუთარი კანდიდატის გაყვანა სურთ... „ვერსიის" რესპონდენტი, ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია აცხადებს, რომ ნიკა მელიას პარტიაში თავმჯდომარედ არჩევისთანავე დაუპირისპირდნენ... გთავაზობთ ინტერვიუს არჩილ გამზარდიასთან:

– ეს დაპირისპირება მაშინ დაიწყო, როცა ნიკა მელია პარტიის თავმჯდომარე გახდა და რაღაც მომენტში ეს იყო საპატიო თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის გავლენის სივრციდან გასვლა. მაშინ მელია ფიქრობდა, რომ საჭირო იყო განსხვავებული პოლიტიკური შინაარსის შეძენა ნაციონალური მოძრაობისთვის, რაც გამოიხატებოდა სხვა პარტიების პარიტეტულ, თანასწორ ურთიერთობაში და რაც სააკაშვილს არ ჰქონდა; ნაციონალური მოძრაობის წარსულის კრიტიკულ გააზრებაში, რაც ასევე არ ჰქონდა სააკაშვილს; ახალი ადამიანების პარტიაში მიყვანასა და შიდა ელიტების ცვლაში. ამ პროცესში დაიწყო ეს დაპირისპირება, უბრალოდ, მაშინ ასე აქტიურად არ ჩანდა და როგორც კი სტაბილურ რეჟიმში გადავიდა პარტიის პოლიტიკური ცხოვრება, კიდევ უფრო გაძლიერდა. სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლის ერთ-ერთ თეორიულ ვერსიად სტატუს-კვოს დაკარგვის შიშს ასახელებენ, რომ აღარ ყოფილიყო ერთადერთი მთავარი პირი პარტიისთვის.

ვინც გინდა იყოს მომავალში პარტიის თავმჯდომარე, პრაქტიკულად, ვერაფერს შეძლებს და იგივე პროცესი შეიძლება დაიწყოს, რადგან ისეთი უტოპიური მოთხოვნები წაუყენეს მელიას, როგორიცაა სააკაშვილის ციხიდან დახსნა, ბიძინა ივანიშვილის დამარცხება, რაც ასე მარტივი არაა და ეს იმედგაცრუება მომავალშიც გარდაუვალი იქნება.

როცა შიდა ელიტები ვახსენეთ, იქ აღმოჩნდა ვანო მერაბიშვილის სახელი ბევრად ადრე. მახსოვს, ნიკა მელია როცა მყავდა გადაცემაში, ვკითხე და მაშინ ფრთხილად უპასუხა ამ თემას, მაგრამ მერაბიშვილის შესახებ მსჯელობა და შიდა საუბრები ადრევე დაიწყო. კეზერაშვილის ფაქტორიც პირველად პოზიტიურად მოჩანდა, როგორც ვხედავთ, მათ შორის, ნიკა მელიასთვისაც, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ვის მიმართაც იქმნება, ისინი ზედმეტად ერთვებიან ხოლმე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

– მერაბიშვილსა და სააკაშვილს, მოარული ხმებით, ურთიერთობა დალაგებული არ ჰქონდათ. როგორც ჩანს, ახლა მელიას წინააღმდეგ გაერთიანდნენ?

– ჯერ ერთი, რომ დროებითი მოკავშირეობა პოლიტიკურ ომში სრულიად გასაგებია. საქართველოში პოლიტიკისთვის ეთიკური და ზნეობრივი მიდგომები ნაკლებად დამახასიათებელია და ამიტომ არ გამიკვირდება. შესაძლოა, მერაბიშვილი თვითრეალიზების საშუალებად მხოლოდ ამ გზას ხედავს და არავინ იცის, თუ გაძლიერდება და პარტიაში საკმარისი გავლენა ექნება, ხვალ როგორ მოუბრუნდება სააკაშვილს. კიდევ ერთი თეორიული ვერსიის დონეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ – ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილსა და ვანო მერაბიშვილს განსაკუთრებულად ახლო მეგობრობა ჰქონდათ ენმ-ის ხელისუფლების პირველ დეკადაში. ივანიშვილი ყველაზე მეტად მეგობრობდა და ურთიერთობდა ვანო მერაბიშვილთან, ზურაბ ადეიშვილსა და მერე უკვე მიხეილ სააკაშვილთან. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მერაბიშვილმა ციხეში გაატარა რამდენიმე წელი, მაინც არ ვიცით, სად, რა ვითარებაში შეიძლება მოხდეს საკომუნიკაციო გადაკვეთები. არგუმენტი არ მაქვს, რომ ეს ვამტკიცო, მაგრამ ჩემთვის 100%-ით მოხსნილი არაა თემა – შესაძლებელია თუ არა მერაბიშვილის ფაქტორი რამე ფორმით დაკავშირებული იყოს ივანიშვილთანაც.

– მელიას თავმჯდომარეობის პერიოდში, პარტიამ წარმატებას ვერ მიაღწია ანუ ხელისუფლება არჩევნების გზით ვერ შეცვალა. ამ ფონზე, რატომ გახდა მელია ახლა ხელისუფლებისთვის საშიში ფიგურა და რატომ უნდა უნდოდეს „ოცნებას" მისი პარტიიდან გაშვება?

– მელიამ, რაღაც ეტაპზე, პარტიას პერსპექტივა შესძინა. როცა ის ეძებდა პოლიტიკურ ბაზარზე საკუთარ თავს, ახალი თაობების წამოწევას პარტიაში...

– „ახალი თაობა" კი ამბობს, ასე სულაც არ ხდება და პარტიაში ახალი სახეებს პერსპექტივა არ აქვთო. ნიკა ობოლაძემ დატოვა პარტია ამ პროტესტით ცოტა ხნის წინ...

– ამიტომ ვახსენე ნიკა მელიას თავმჯდომარეობის პირველი პერიოდი, მაშინ გახდა ენმ საინტერესო, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, ავტოკრატიისკენ და ერთმმართველობისკენ მიდრეკილება ჩვენი მძიმე სენია, მათ შორის, პარტიებშიც. საქართველოში არ არსებობს პარტია, რომელიც არ არის ავტოკრატიული მმართველობისა და ზუსტად იმიტომ, რომ ერთი პერიოდი, ენმ-ში შეიქმნა განახლებისა და განვითარების პერსპექტივა, პარტიამ მიიზიდა ადამიანების რაღაც ნაწილი და რადგანაც ასე ვერ გაგრძელდა, ამან გამოიწვია იმედგაცრუება. რატომ ვერ გაგრძელდა, ეს ცალკე თემაა... ახლა პარტია ისეთი სტატიკურია, რომ ცოტა უცნაური დილემის წინაშეა ამ არჩევნებით.

– ამ არჩევნებით რა შეიცვლება, თქვენი აზრით?

– თუ ისევ ნიკა მელია აირჩიეს, შესაძლებელია, ლეგიტიმაცია გაიმყაროს, პარტიის ტრანსფორმაცია მოახდინოს, რომ სააკაშვილი არ იყოს ერთადერთი და აქტუალური თემა და ა.შ. ნიკა მელია პარტიაში ყველაზე უფრო განსხვავებული პირია და რაღაც თეორიულ პერსპექტივას მოიცავს.

თუ ე.წ. მერაბიშვილ-კეზერაშვილის მხარის წარმომადგენელი გახდება თავმჯდომარე, გამოდის, რომ ნაციონალური მოძრაობის სტრატეგია იქნება ორი მიმართულებით – რევოლუციური ხერხით მოვიდეს ხელისუფლებაში, რადგან არჩევითი პერსპექტივა არ ექნება და მეორე მხრივ, ექსპერიმენტების ნაცვლად, რასაც ასე ცდილობენ ენმ-ის ახალი სახეები, ტრადიციულ ამომრჩეველზე ორიენტირდნენ და იმუშაონ იმაზე, რომ იყვნენ მთავარი ოპოზიციური პარტია.

– ასეთი ვერსიაც ვრცელდება, რომ თუ მერებიშვილისა და კეზერაშვილის კანდიდატმა გაიმარჯვა, პარტიას შეურთდებიან ზურა ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია, გიორგი ვაშაძე, გიგი უგულავა და ენმ-დან წასული სხვა პოლიტიკოსები...

– ხოშტარია, ვაშაძისა და ჯაფარიძის ნაციონალური მოძრაობიდან წამოსვლის ფაქტორი, თავის დროზე, იყო ავტოკრატიული მმართველობა და ახალ პოლიტიკურ შინაარსზე გადასვლის შეუძლებლობა. ახლა კი იგივე წიაღს უბრუნდებიან? – ჩემთვის გაუგებარია. თუმცა, ოპოზიციური პარტიებისთვის ერთადერთი პერსპექტივა ისაა, რომ შერწყმა მოხდეს და ამორფული გაერთიანების ნაცვლად, ერთპარტიული პოლიტიკური პლატფორმა შეიქმნას. თუმცა, მაინც მგონია, რომ მაგალითად, ზურა ჯაფარიძისთვის ეს პოლიტიკური დასამარება იქნება.

– ნიკა მელია თუ არ აირჩიეს თავმჯდომარედ, როგორ ფიქრობთ, პარტიიდან წავა და დაშლის ენმ-ს?

– ეს შესაძლებელია და საწყისი ეტაპისთვის მელიას აქვს გარკვეული პოლიტიკური კაპიტალი, რომ მეტ-ნაკლებად ქმედუნარიანი პარტია შექმნას. უბრალოდ, პოლიტიკური ლიდერები მაღალი დონის პოლიტიკურ განათლებას, თვალსაწიერსაც უნდა ფლობდნენ და არა დახვეწილ აქტივიზმს. ეს პარტიების ლიდერებს არ ახსენდებათ და უბრალოდ, აქტიური ტიპია ხოლმე მოთხოვნადი, როგორც ლიდერი, შემდეგ კი იწყება კრიზისი იმიტომ, რომ პარტიის მართვას ცოტა სხვა ცოდნა და რესურსები სჭირდება, მაგრამ ნიკა მელიას გარკვეული შესაძლებლობები აქვს.

რატომ არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი უკრაინისთვის ხერსონის დაბრუნება

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მამუკა არეშიძე: „პუტინი ძალიან რთულ ვითარებაშია“

ხერსონი უკრაინის კონტროლქვეშაა. ეს რუსეთის არმიის ერთ-ერთი მთავარი მარცხია ომის დაწყების შემდეგ, თუმცა ჰუმანიტარული მდგომარეობა ქალაქსა და მის შემოგარენში კვლავაც მძიმეა. 9 ნოემბერს, უკრაინაში რუსული ჯარების მეთაურმა, გენერალმა სერგეი სუროვკინმა რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს ხერსონსა და მისი შემოგარენიდან დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე ჯარების გაყვანა შესთავაზა და როგორც ახსნა, მომარაგების სირთულეების გამო და სამხედროებისთვის სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით. მინისტრი დათანხმდა. 11 ნოემბერს, უკრაინული არმიის პირველი ნაწილები ხერსონში შევიდნენ, სადაც ინფრასტრუქტურის აღდგენა და ტერიტორიის განაღმვა მიმდინარეობს. შემოღებულია კომენდანტის საათი. ხერსონის ოლქის გუბერნატორის თქმით, რუსულმა ჯარებმა უკან დახევისას, პრაქტიკულად, ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი დანაღმეს.

რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს უკრაინის მიერ ხერსონის დაბრუნებას და გადაწყვეტს თუ არა ომის ბედს? – „ვერსია“ ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– უკრაინისთვის ეს სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რადგან ხერსონი სამხრეთ უკრაინის ყველაზე დიდი და ძლიერი ქალაქია. ასევე, ერთგვარი ჩამკეტია ყირიმისკენ მიმავალი კომუნიკაციებისა და, განსაკუთრებით, სასმელი წყლის სისტემისა, რომლითაც მარაგდება ყირიმი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ცოტა ხნის წინ, ხერსონი რუსეთმა თავის ტერიტორიად გამოაცხადა – პრაქტიკულად, გამოდის, რომ უკრაინამ რუსეთის ტერიტორია დაიკავა. ამას კი სტრატეგიულის გარდა, მორალური მნიშვნელობაც აქვს, რადგან სერიოზული დარტყმაა კრემლის პრესტიჟზე, რაც ეტყობოდათ კიდეც კრემლის აგიტატორებს, ხასიათზე არ იყვნენ.

– ხერსონის დაბრუნება ომის ბედის გარდამტეხი იქნება?

– ამას ვერ ვიტყვით, რადგან ხერსონი უკრაინელების მიერ აღებული კი არა, რუსების მიერაა დატოვებული ანუ ბრძოლით კი არაა დაკავებული, არამედ, ქალაქს რომ ვეღარ იცავდნენ, ამიტომ დატოვეს რუსებმა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ დნეპრის მარცხენა ნაპირზეა ხერსონი და თავდაცვის ზღუდეები მარჯვენა ნაპირზე ჰქონდათ აგებული. ამასთან, ვეღარ ახერხებდნენ მომარაგებას, რადგან უკრაინულმა მხარემ ყველა დამაკავშირებელი ხიდი გაანადგურა. ასე რომ, გარდამტეხი იქნება, თუ გაზაფხულისთვის დნეპრის ფორსირება მოახერხა უკრაინულმა მხარემ და დაიკავა დანარჩენი ტერიტორია, რომელიც ყირიმთან აკავშირებთ. 100 კილომეტრია დარჩენილი ყირიმის ყელამდე.

– გამოითქვა მოსაზრება, რომ შემდეგი იქნება ყირიმი... თქვენც ასე ფიქრობთ?

– ეს ჯერ პროპაგანდისტული ნათქვამია, რადგან არ ვიცით, ამას მოახერხებს თუ არა უკრაინა. თავის დროზე, როცა ტარდებოდა ყირიმის ოპერაციები, 1920 წელს და მეორე მსოფლიო ომის დროს, ამ სივრცის დაკავება ყოველთვის უზარმაზარ სირთულესთან იყო დაკავშირებული.

ერთ რამეზე მინდა ყურადღების გამახვილება – არ მჯერა, რომ ისე მოხდა ხერსონის დაბრუნება, როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან ჟღერს. ვფიქრობ, ეს იყო კულუარული მოლაპარაკებების შედეგი და ეს მოლაპარაკებები რომ მიმდინარეობს კრემლსა და აშშ-ის ადმინისტრაციას შორის, თქვა კიდეც სალივანმა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გარკვეული კულუარული ზეწოლა მიდის შეერთებული შტატებისგან კრემლზე... აშშ ცდილობს, ისეთი ვითარება შექმნას, რომ რუსეთი წაიყვანოს საზავო მოლაპარაკებისკენ, მაგრამ მას სახე შენარჩუნებული ჰქონდეს...

– ანუ, რუსეთი ამ ომში დამარცხდეს, მაგრამ თან სახე შეინარჩუნოს? კი, მაგრამ პუტინი მარცხის აღიარებას დათანხმდება?

– პუტინი ძალიან რთულ ვითარებაშია. სანქციები მუშაობს, ეკონომიკური თვალსაზრისით რთულ მდგომარეობაშია რუსეთი, რადგან „მოკავშირეებმაც“ კი უგანეს, ჩინეთს ვგულისხმობ... ამერიკელების მიდგომა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს ასეთი იყო – როცა მოწინააღმდეგეები ერთმანეთთან ბრძოლაში დასუსტდებოდნენ, მერე იწყებდა ეკონომიკური ფაქტორებით საუბარს. წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთმა გაიმარჯვა და შეინარჩუნა ის ტერიტორიები, რომლებიც აქვს, დონეცკი-ლუგანსკი, ეს იქნება ეკონომიკურად განადგურებული ქვეყანა, რომლის წელში გამართვას დიდი დრო დასჭირდება და რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ვერ მოახერხებს იმ ამბიციების რეალიზებას, რომელიც აქვს. ამიტომ, მოსკოვს ურჩევნია, რაღაც, თუნდაც სერიოზული ფინანსური ინექცია მიიღოს სანაცვლოდ და ამას პირდებიან, ალბათ, ამერიკელები.

წარმოიდგინეთ სურათი – მოსკოვმა დათმო დაკავებული ტერიტორიები, ვირტუალური ბრძოლით დაიხია უკან და სანაცვლოდ მიიღო სანქციების მოხსნა, პლუს მიიღო შეღავათიანი კრედიტები ან გრანტები, ეს თვალში გამოახედებს მოსკოვს და ასეთ ტენდენციას ზოგი რუსი ექსპერტის ნააზრევშიც ვხედავ.

– ლოგიკურია, ისეთ ოლიგარქიულ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, ამ თემამ იმუშაოს, რადგან გაღარიბებულმა ოლიგარქებმა პუტინს აიძულონ დათმობაზე წასვლა...

– რასაკვირველია, მაგრამ არის დათმობის ზღვარი. როგორც ჩანს, რაღაც ტერიტორია მოსკოვს უნდა დარჩეს. ლუგანსკი და დონეცკი იგულისხმება თუ ყირიმი, ამის თქმა გამიჭირდება.

– ანუ მოლაპარაკების თემა იქნება ეს რუსეთისა და შეერთებული შტატებისთვის?

– როგორც ჩანს, ასე იქნება, რადგან ამერიკისთვის უმნიშვნელივანესია, ვეღარ წავიდეს რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებაზე.

– გასაგებია, მაგრამ აქ ხომ გადამწყვეტი უკრაინის ინტერესი და პოზიციაა? რა უნდა აშშ-ს ერთია და რას დათანხმდება უკრაინა – მეორე...

– ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა – გადამწყვეტი, რადგან ეს ომი ხელოვნურია და ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ დაწყებულიყო. დასავლეთს ძალიან სჭირდებოდა რუსეთის წელში გადატეხა, სუსტი რუსეთი, რომელიც ლოიალური იქნებოდა მის მიმართ და ერთი მხრივ, რესურსების განკარგვის საშუალებას მისცემდა ხოლო მეორე მხრივ, ჩინეთთან ალიანსში არ იქნებოდა. დასავლური სამყაროს პირველი მოწინააღმდეგე, ხომ, ჩინეთია? იმიტომ, რომ ის ძლიერია, რუსეთი კი არ იყო პრობლემატური, რომ არა მისი იდიოტური ამბიციები. ასე რომ, ჩინეთის წინააღმდეგ დასავლეთს სჭირდება სერიოზული გეოგრაფიული მოკავშირე და ასეთი, ყველაზე რეალური რუსეთი და ინდოეთია.

...უკრაინის მოსახლეობის სერიოზულ ნაწილს უმძიმესი ზამთარი ელის. რასაკვირველია, ჩვენ, ყველა, მომხრენი ვართ, რომ უკრაინამ გაიმარჯვოს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი პრობლემების მოგვარება ათიათასჯერ გაგვიიოლდება დამარცხებული რუსეთის შემთხვევაში. ეს არის პრაგმატული მიდგომა, მაგრამ მეორე მხრივ, ცივი გონებით, რეალურად შევხედოთ სიტუაციას – უკრაინას განადგურებული აქვს ინფრასტრუქტურა, ძალიან გაჭირდება ელექტროენერგიის, წყლის, გათბობის მიწოდება ხალხისთვის. წარმოიდგინეთ, ომითა და ცივი ზამთრით გადაღლილი უკრაინელები გაზაფხულზე... მათთვის ახსნა იმისა, რომ გამარჯვებული უკრაინა უწევს ანგარიშს მოკავშირეებს და თმობს ისედაც დაკარგულ დონეცკსა და ლუგანსკს, უფრო მარტივი იქნება, ვიდრე თქმა იმისა, მოდით, ბოლომდე ვიბრძოლოთო. ამიტომ, მაქვს ვერსია, უკრაინელი ხალხი ისეთ მდგომარეობაში იქნება გაზაფხულზე, ბევრად მარტივი იქნება დათანხმება იმაზე, რომ უკრაინამ გაიმარჯვა, სტატუს-კვო დაიბრუნა, გამარჯვებულია ამხელა სახელმწიფოზე, რუსეთზე...

– ფიქრობთ, გაზაფხულზე ომი ამ სცენარით დასრულდება?

– ვფიქრობ, აქეთ მიდის მოქმედებების ლოგიკა. მთავარია, დასუსტებული რუსეთი აღარ უნდა იყოს პოლიტიკური გემოვნების შემქნელი რეგიონში და უკრაინა უნდა იყოს გამარჯვებული, წარმატება მიღწეული უნდა ჰქონდეს უკრიანას.

პენსია, საჯარო მოხელეთა, პოლიციელებისა და ჯარისკაცების ანაზღაურება იზრდება

მაკა რუხაძე

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის განხილვა პარლამენტში უკვე დაიწყო. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მეორედ მოსმენას პლენარულ სხდომაზე. ვიდრე 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს დეტალურად განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მომავალ წელს, საქართველოს მთავრობა 21 მილიარდ 154 მილიონი ლარის ხარჯვას გეგმავს. რაც მთავარია, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, საჯარო სექტორში დასაქმებულ მოხელეთა ხელფასები გაიზრდება 10%-მდე, ხოლო პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასები – 20%-ით.

მომდევნო წლიდან იზრდება პენსია, რაც ნიშნავს, რომ 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია მოიმატებს 65 ლარით და 365 ლარი გახდება, ხოლო ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია, ოღონდ მაღალმთიან დასახლებებში, 440 ლარს გაუტოლდება. 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 35 ლარით, 295 ლარამდე, მაღალმთიან დასახლებებში კი ამავე ასაკობრივი კატეგორიის პირთა პენსია 355 ლარს გაუტოლდება.

2023 წელს, რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5%-ის ფარგლებში და მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ნომინალში 79.6 მილიარდ ლარს მიაღწევს. მეტიც, 2023 წლის ბოლოს, საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა შემცირდება და მშპ-ის 38.8%-ით იგეგმება. კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი პარამეტრი ისაა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის დეფიციტი 2.8%-მდე მცირდება, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ინფლაციაზე.

საქართველოს მთავრობა მომდევნო წელს 21 მილიარდ 154 მილიონი ლარის ხარჯვას გეგმავს – 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიულადაა დაგეგმილი, კერძოდ, რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5%-ის ფარგლებში და ეს მაჩვენებელი შენარჩუნებულია საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში; ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 79.6 მილიარდი ლარით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი, თითქმის 7 500 აშშ დოლარს უტოლდება. აქედან გამომდინარე, 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად 24.3 მილიარდი ლარია, რაც საშუალებას გვაძლევს, ბიუჯეტმა სრულყოფილად უპასუხოს ქვეყნის ძირითად გამოწვევებს, კერძოდ:

თავდაცვა და უსაფრთხოება – თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება 490 მილიონ ლარზე მეტით იზრდება, მათ შორის, პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 20%-ით გაზრდის მიზნით, გათვალისწინებულია 290 მილიონ ლარზე მეტი; საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები 10%-ით იზრდება.

სოციალური მიმართულება – ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება 770 მილიონ ლარზე მეტით იზრდება, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია: 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსიის მატება 65 ლარით, რაც ნიშნავს, რომ მომავალ წელს, პენსია 365 ლარი გახდება. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია, ოღონდ მაღალმთიან დასახლებებში, თითქმის 440 ლარს გაუტოლდება; 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 35 ლარით და განისაზღვრება 295 ლარით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში, თითქმის 355 ლარს გაუტოლდება; გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 65 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემელი 35 ლარით გაიზრდება; მიმდინარე წლის ივნისიდან, 150 ლარამდე გაზრდილი ბავშვთა სოციალური დახმარება მთელი წლის მანძილზე გაგრძელდება; დევნილთა სახლების უზრუნველყოფის მიზნით, დაიწყება 7 000 ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს, 250 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

განათლება – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება 290 მილიონ ლარზე მეტით გაიზრდება, რომლის ფარგლებში: საჯარო სკოლების მასწავლებელთა დანამატი იზრდება 125 ლარით; ასევე, 125 ლარით იზრდება მანდატურების ხელფასებიც; გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა; გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების პედაგოთა საათობრივი ანაზღაურების ზრდა (15-დან 18 ლარამდე); იწყება 500-ზე მეტი საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს, დაიხარჯება 300 მილიონ ლარამდე; გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100-ლარიანი ზრდა.

საჯარო სექტორის მდგრადობა – ბოლო ხუთწლიან პერიოდში, 2022 წელს, საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები პირველად გაიზარდა, თუმცა მიმდინარე წელს, კერძო სექტორში გაცილებით მეტად გაიზარდა საშუალო ხელფასი, ვიდრე საჯარო სექტორში. შესაბამისად, აუცილებელია, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების საკითხი. მთლიანობაში, 2023 წელს, საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები 10%-ით გაიზრდება, გარდა პოლიციელებისა და ჯარისკაცებისა, რომელთა ხელფასები 20%-ით მოიმატებს.

ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა – 2023 წელს, მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად. ჯამში, ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 6 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დაიხარჯება 1.7 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 1.2 მილიარდ ლარზე მეტი; მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია 2.1 მილიარდ ლარზე მეტი; წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის გასაუმჯობესებლად – 520 მილიონ ლარამდე; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე – 450 მილიონ ლარამდე; რეგიონების გაზიფიცირებისთვის გამოყოფილია 80 მილიონი ლარი; სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის – 590 მილიონ ლარზე მეტი; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულია 260 მილიონ ლარზე მეტი.

სამინისტროების დაფინანსება

2023 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 6 798.7 მილიონი ლარით, რომელიც ასე განაწილდება: მოსახლეობის სოციალური დაცვა – 4 813.9 მილიონი ლარი; საპენსიო უზრუნველყოფა – 3 379.2.მილიონი ლარი. უფრო კონკრეტულად, კანონის მიხედვით, 70 წლამდე პირთა პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, სექტემბერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაცია შეადგენს 12.7%-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, პენსიის ზრდა გათვალისწინებულია 35 ლარით, რაც 2023 წლის იანვრიდან, 295 ლარით განისაზღვრება.

დასასრული მე-7 გვერდზე

პენსია, საჯარო მოხელეთა, პოლიციელებისა და ჯარისკაცების ანაზღაურება იზრდება

მე-6 გვერდიდან

ამავე კანონით, 70 წლისა და მეტი ასაკის პირთა პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციისა და ბოლო 6 კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით. ამ ფორმულით, პენსიის ზრდა გათვალისწინებულია 65 ლარით და მისი მოცულობა 2023 წლის იანვრიდან, განისაზღვრება 365 ლარის ოდენობით. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია იქნება 354 ლარი, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკის პირთა პენსია – 438 ლარი.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება დაფინანსდება – 1 275.1 მილიონი ლარით; სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში – 85 მილიონი ლარი; სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება იზრდება 14.4 მილიონი ლარით და 66 მილიონ ლარს აღემატება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდება 1 499.1 მილიონი ლარით, მათ შორის, საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტი შეადგენს 850 მილიონ ლარს, ხოლო ახალი კორონავირუსული დაავადების – COVID 19-ის მართვისთვის გამოყოფილია 120 მილიონი ლარი. აქედან, 50 მილიონ ლარზე მეტი გათვალისწინებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ გამოყოფილი რესურსის ფარგლებში, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, რომლის ფარგლებშიც, ძირითადად, ინფექციური საავადმყოფო აღიჭურვება; ამავე პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია სასწრაფოს დახმარების სამსახურის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა, ხოლო სოფლის ექიმებისა და ექთნების ანაზღაურება 100 ლარით გაიზრდება; სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა დაფინანსდება 42.1 მილიონი ლარით; შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა – 90.3 მილიონ ლარამდე, მათ შორის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 80 მილიონი ლარი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 267.7 მილიონი ლარი. პროგრამის დაფინანსება გაზრდილია 2.6-ჯერ და ამ თანხის ფარგლებში, 7 000 ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა დაიწყება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 1 978.6 მილიონი ლარით; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება – 401.2 მილიონი ლარით; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება – 2 975.9 მილიონი ლარით, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 1 543.2 მილიონი ლარი, გრანტებში – 13.9 მილიონ ლარამდე, კრედიტებში – 1 418.8 მლნ ლარამდე; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 688.5 მილიონ ლარს; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია 653.7 მილიონი ლარი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 106 მილიონ ლარს; იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 369.4 მილიონი ლარი; საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის – 183 მილიონი ლარი; თავდაცვის სამინისტროსთვის – 1 260 მილიონი ლარი, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას 257.6 მილიონი ლარით აღემატება; შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის – 1 070 მილიონი ლარი, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას 205 მილიონი ლარით აღემატება. დაფინანსების ზრდა, ძირითადად, დაკავშირებულია პოლიციელთა ხელფასების 20%-ით ზრდასთან. ამასთან, სამინისტროს ასიგნება 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით, 107.5 მილიონი ლარით მეტია; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 180 მილიონი ლარი, რომლის ფარგლებში, გათვალისწინებულია პოლიციელთა ხელფასების 20%-იანი ზრდა; საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 76.0 მილიონი ლარი; ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაფინანსება შეადგენს 3.8 მილიონ ლარს; საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 53.8 მილიონი ლარი; სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გათვალისწინებულია 17 მილიონი ლარი; სასამართლო სისტემისთვის გათვალისწინებულია – 138.5 მილიონი ლარი, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლო დაფინანსდება 5.8 მილიონი ლარით; უზენაესი სასამართლო – 15.5 მილიონი ლარით; საერთო სასამართლოები – 110 მილიონი ლარით; იუსტიციის უმაღლესი საბჭო – 7.2 მილიონი ლარით.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 9.9 მილიონი ლარი; სახალხო დამცველის აპარატისთვის – 9.3 მილიონი ლარი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის – 4 მილიონი ლარი; საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენს 75 მილიონ ლარს; სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 18.8 მილიონი ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის – 35.8 მილიონი ლარამდე; მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება შეადგენს 22 მილიონ ლარს; პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებულია 9.1 მილიონი ლარი; სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების დაფინანსება ჯამში – 10.2 მილიონი ლარი.

რომელი დაავადებები გადაეცემა ადამიანს ცხოველისგან

სალომე ნოზაძე

მიუსაფარი ცხოველების პრობლემა – ინტერვიუ ვეტერინართან

„შენ ვალდებული ხარ, იზრუნო იმაზე, ვინც მოიშინაურე“, – ეს წარწერა, ქალაქის ბევრი კორპუსის კედლიდან, მოუწოდებს მოქალაქეებს ოთხფეხა მეგობრებზე ზრუნვას, თუმცა... საქართველოში და, განსაკუთრებით, ქალაქ თბილისში, წლებია, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას მიუსაფარი ცხოველები წარმოადგენენ. ქუჩაში, ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით მიუსაფარ კატას ან ძაღლს, რომლებიც ლუკმა-პურის ან თავშესაფრის საპოვნელად მძიმე გზას გადიან. საკითხი კომპლექსურია და ბევრი ასპექტი აქვს, მათ შორის, ორი უმთავრესი – მოქალაქეებისა და თავად ცხოველთა უფლებების დაცვა. მოქალაქების ნაწილი გაურბის და აპროტესტებს მიუსაფარი ცხოველების არსებობას, ნაწილი კი ცხოველთა უფლებებს იცავს. მიუსაფარი ცხოველების ირგვლივ არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე „ვერსია“ ვეტერინარ დათო რობაქიძეს ესაუბრა.

– საქართველოში უამრავი მიუსაფარი ძაღლია, თქვენი აზრით, როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა?

– ამ პრობლემის გადაჭრის ყველაზე მნიშვნელოვანი გზა მიუსაფარი ცხოველების მასობრივი ოვარიოჰისტერექომია-სტერილიზაციაა, რის შემდეგაც ისინი ვერ შეძლებენ გამრავლებას. ეს ხერხი წამყვან როლს თამაშობს ცხოველთა პოპულაციის მართვაში.

გარდა ამისა, ვფიქრობ, ეფექტიანი იქნებოდა, ხელისუფლებამ წაახალისოს ის მოქალაქეები, რომლებიც მიუსაფარ ცხოველებს აიყვანენ. მაგალითად, ასეთ ცხოველებს უნდა ჰქონდეთ უფასო ვაქცინაციის პროგრამა დაავადებებზე, დეჰელმინთიზაციასა (ჭიაზე, დამუშავებაზე) და სტერილიზაციაზე.

ასევე, კარგი იქნება მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების კამპანია ამ კუთხით. გარდა ამისა, კანონით დასჯადი უნდა იყოს ცხოველის მიტოვება, ლეკვებისა და კნუტების ქუჩაში, ტყეში და ა.შ დატოვება, თუმცა ამის გაკონტროლებაც რთულია იქიდან გამომდინარე, რომ ცხოველების რეგისტრაციის ვალდებულება არ არსებობს.

– ცხოველებში დაავადებების შესამცირებლად რა მექანიზმები არსებობს?

– ამ პრობლემის გადაჭრა რთული და გრძელვადიანია, მაგრამ არა – შეუძლებელი. ცხოველებში დაავადებების შესამცირებლად, სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკის მიზნით, მედიკამენტებსა და ღონისძიებებს იყენებენ. ძაღლისა და კატის ვირუსულ დაავადებებზე – ხორცისმჭამელთა ჭირზე, ძაღლის პარვოვირუსზე, კორონავირუსზე, ადენოვირუსებზე, კატის პანლეიკოპენიის (კატის ოარვოვირუსის), კალიცოვირუსისა და ა.შ. ზოგიერთ ბაქტერიულ დაავადებაზე – ლეპტოსპიროზზე პროფილაქტიკისთვის უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ვაქცინაციას. ჰელმინთური დაავადებების პრევენციისთვის გეგმური დეჰელმინთიზაციაა საჭირო, ტკიპისა და მწერების

მიერ გადამტანი ვექტორული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა ანტიპარაზიტული საშუალება: აბები, საყელოები, სპრეები, წვეთები და ა.შ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ცხოველის სწორი მოვლა-შენახვის პირობები.

– როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ცხოველი აგრესიულია ჩვენს მიმართ?

– ცხოველის აგრესია ყოველთვის გამოწვეულია რამე პრობლემით. თუ ცხოველი ზოგადადაა აგრესიული ყველას მიმართ, მას სჭირდება ვეტერინარისა და ცხოველთა ფსიქოლოგის კონსულტაცია.

– როგორ უნდა გავიგოთ, აქვს თუ არა ცხოველს ცოფი?

– ცოფი ყველა დროის ერთ-ერთი საშიში დაავადებაა. საბედნიეროდ, თუ გადავხედავთ ბოლო 20-25 წლის სტატისტიკას, წინა წლების მონაცემებთან შედარებით, დღეს საგრძნობლად იკლო ცოფის შემთხვევებმა და, პრაქტიკულად, მინიმუმამდე დავიდა. ცოფი არა მარტო ძაღლების, არამედ, ყველა თბილსისხლიანი ცხოველის დაავადებაა, მათ შორის, ადამიანისაც. ცხოველის სიცოცხლეში ცოფზე ეჭვი კლინიკური ნიშნებით მიაქვთ. მისი საბოლოო და ზუსტი დიაგნოსტიკა კი ცხოველის სიკვდილის შემდეგ ხდება, როდესაც ლაბორატორიაში (საქართველოში ვაშლიჯვრის ლაბორატორიაში) იგზავნება პატარა ცხოველის გვამი მთლიანად, ხოლო დიდი ცხოველის თავი და იქ იკვლევენ ტვინის ქსოვილებს ბაბეშ-ნეგრის სხეულაკებზე, რისი აღმოჩენაც ცოფის დიაგნოზის დადასტურებას ნიშნავს.

ბოლო დროს (ჩვენს ქვეყანაში – არა), დაინერგა ცოფის დიაგნოსტირება სწრაფი კასეტა ტესტების გამოყენებით ცოფის ანტიგენზე.

ცოფს სხვადასხვა ცხოველში, სხვადასხვა კლინიკური გამოვლინება და სიმპტომი აქვს, თუმცა თითოეულ მათგანში იწვევს ნერვული სისტემის დაზიანებას. ძაღლში ცოფის ხუთ ფორმას არჩევენ და მათი განხილვა დიდ დროს მოითხოვს. მარტივად რომ ვთქვა, ცოფის ნიშნები ყველაზე ხშირად არის: უცნაური ქცევა, პატრონის დაძახილზე უყურადღებობა, ჰიდროფობია – წყლის შიში, აეროფობია – ჰაერის ნაკადის შიში, ფოტოფობია – სინათლის შიში, აგრესია, დამბლითი მოვლენები, რაც საბოლოოდ, სიკვდილით მთავრდება.

– არის თუ არა ცხოველი ისეთი ინფექციის მატარებელი, რომელიც გადადის ადამიანზე?

– კი. ერთ-ერთია ცოფი. ასეთ დაავადებებს ანთროპოზოონოზურ დაავადებებს უწოდებენ – ცხოველისა და ადამიანისთვის საერთოს. სხვა ანთროპოზოონოზური დაავადებებია: ლეპტოსპიროზი, ლისტერიოზი და ა.შ. ასევე, შეიძლება ცხოველებისგან ადამიანზე ზოგიერთი დაავადება გადავიდეს ვექტორულად, მაგალითად, ლეიშმანიოზი.

სამართალი

№45 16 ნოემბერი 2022 წ

როგორ იყენებენ მიცვალებულებს ნარკოტიკების გასასაღებლად

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, ისევ ნარკოტიკებზე გვიწევს წერა. ნარკოტიკზე, რომელმაც, ლამის, მთელი ქვეყანა მოიცვა. თავად განსაჯეთ, სამართალდამცავები ყოველდღიურად ნარკოტიკების ახალ-ახალ პარტიებს პოულობენ და ამ შემთხვევაში, საქმე არა გრამებთან, არამედ, კილოგრამებთან გვაქვს. საზღვრებზე გამკაცრდა კონტროლი და არ აქვს მნიშვნელობა, საიდან შემოდიან ავტომობილები – ლარსიდან, წითელი ხიდიდან, სარფიდან თუ ვალედან – მათი უმეტესობა ბოლომდე იჩხრიკება, მგზავრებს აიძულებენ ბარგი დაცალონ, ჩანთები გახსნან. ხმამაღლა ამაზე არავინ საუბრობს, მაგრამ ყველამ იცის, არსებობს იმის უდიდესი ალბათობა, რომ საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად იყენებდნენ და რაც მთავარია, შემოტანილი ნარკოტიკის არცთუ მცირე ნაწილი რეალიზაციისთვის საქართველოში რჩებოდეს. ძალოვნები რამდენიმე მიმართულებით მუშაობენ. ის, რომ ამ საქმეში საქართველოს მოქალაქეები ნაკლებად არიან ჩართულნი და ძირითადი აქცენტი უცხოეთის მოქალაქეებზე კეთდება, უკვე გარკვეულია. გარკვეულია იმიტომ, რომ ბოლო დროს დაკავებული ნარკოდილერების აბსოლუტური უმრავლესობა, სწორედ უცხო ქვეყნის მოქალაქეა და თუ აქამდე აზიის ქვეყნების წარმომადგენლები ჭარბობდნენ, ახლა საქმეში ყაზახები, რუსები და უკრაინელებიც ჩაერთნენ. ჰოდა, ტრანზიტს სამართალდამცავები ამ მიმართულებით განიხილავენ და ეჭვი აქვთ, რომ ნარკოტიკი თურქეთიდან ან აზერბაიჯანიდან შემოდის.

„მარიხუანასა“ და მძიმე ნარკოტიკების გავრცელების სკანდალური სქემები

იმის მიუხედავად, რომ „ქურდული კარაბადინით“, ნარკოტიკებთან ნებისმიერი ურთიერთობა „კანონიერი ქურდებისთვის“ არ შეიძლება, ყველამ იცის, რომ არაერთ ქვეყანაში ნარკოტიკების გაყიდვა-გასაღების უკან ხშირად, სწორედ „კანონიერი ქურდები“ დგანან. ამას ხმამაღლა არ ამბობენ, მაგრამ რეალურად, ყველამ ყველაფერი იცის. ბოლო დროს, ქართველი ქურდების აბსოლუტური უმრავლესობის თავშესაფრად კვლავ იქცა ესპანეთი (განსაკუთრებით, კატალონიის რეგიონი) და არც ის გამორიცხოთ, ახალ წლამდე, ესპანელმა სამართალდამცავებმა სპეცოპერაცია, სწორედ ქართული დაჯგუფებების განეიტრალების მიზნით ჩაატარონ. მეტიც, სპეციალურ, დახურულ ჯგუფებში სულ უფრო ხშირად ვრცელდება ამა თუ იმ „კანონიერი ქურდის“ ან „კაი ბიჭების“ ხმოვანი შეტყობინებები სამოქმედო გეგმებსა და... ქალაქების „მაყურებლებზე“ ინფორმაციის შესახებ. ჰო, არა მარტო საქართველოში, არამედ, ევროპის ქალაქებშიც კი „მაყურებლების“ ინსტიტუტი გაცოცხლდა, მათი მთავარი მოვალეობა კი „ქურდული საერთოსთვის“ „ობშჩიაკის“ შეგროვება და კონკრეტულ მისამართებზე გაგზავნაა. არავისთვისაა ახალი და უცხო ისიც, რომ „ობშჩიაკები“ საქართველოს არაერთ მუნიციპალიტეტში გროვდება და ამიტომაცაა, ბოლო დროს, ქართველმა სამართალდამცავებმა ზედიზედ რამდენიმე სპეცოპერაცია რომ ჩაატარეს და „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი არაერთი პიროვნება დააკავეს. დაკავებულთა შორის, სწორედ რომ „მაყურებლები“ სჭარბობენ, მაგრამ რად გინდა, ერთს რომ დაიჭერენ, მეორე დღესვე, საქმეში ახალი „მაყურებელი“ ერთვება, რომელიც ამ სტატუსს ევროპაში მცხოვრებ „კანონიერ ქურდებთან“ „ამწვანებს“ და ახლა ის იწყებს „ხარკის“ აკრეფას. რაც მთავარია, ამ ადამიანებს ციხე ნაკლებად აშინებთ, რადგან ზუსტად იციან, რომ ამ სტატუსით შესულებს გისოსებს მიღმა არსებობა არ გაუჭირდებათ.

ისევ ნარკოტიკებს დავუბრუნდეთ. ინტერნეტის მეშვეობით მათი გამოწერა და ყიდვა უფრო ადვილია, ვიდრე ტანსაცმლის მიღება. არ ვხუმრობ, სამწუხაროდ, ნარკოტიკები არა მარტო ჩვეული მეთოდით იყიდება (ლოკაციების მითითებითა და სურათების ჩაგდებით), არამედ, კურიერებს სახლებშიც კი დააქვთ, ოღონდ ასიდან 99 შემთხვევაში, კურიერმა არ იცის, ჩანთაში რა უდევს და რა მიიტანა „ა“ პუნქტიდან „ბ“ პუნქტში. ეს იციან სამართალდამცავებმაც და ყველა საეჭვო კომპანიას, რომელიც კურიერებს ეძებს და მათ არარეალურ ანაზღაურებას ჰპირდება, მკაცრად აკონტროლებს, თუმცა შედეგი ყოველთვის ისეთი არ არის, როგორსაც ვისურვებდით. მეტიც, კურიერებმა ხშირად დამსაქმებლების არც ნამდვილი სახელი და გვარი იციან, მათ სახეზეც ვერ ცნობენ, ხელშეკრულებას ინტერნეტით, „ონლაინ“ აფორმებენ და იწყებენ მუშაობას, ჯამაგირი კი ბარათზე ერიცხებათ.

სამწუხაროდ, ძალიან მოიმატა „მარიხუანას“ მოყვანა-გაყიდვის ფაქტებმა. თანაც, ის ადამიანები, რომლებსაც დიდი ოდენობით „მარიხუანა“ მოჰყავთ, ჭკუას ხმარობენ, კვირაში ერთხელ ეწევიან და თუ ჩავარდებიან, ამბობენ, რომ საკუთარი მოხმარებისთვის მოიყვანეს. ასე, მაგალითად, გასულ კვირას, ერთ-ერთ მოქალაქეს სახლში 50 კილოგრამზე მეტი „მარიხუანა“ (პრაქტიკულად, ზვინი) უპოვეს, ანალიზის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მამაკაცს „მარიხუანა“ მოხმარებული ჰქონდა და ამტკიცებდა, მხოლოდ საკუთარი თავისთვის მინდაო. სამართალდამცავები ყურებჩამოყრილი იდგნენ, ამას ციხეში არ გაუშვებენ, ადვოკატი იოლად გამოაძრობს ჯარიმით და პირობითი სასჯელითო. არადა, რეალურად, ხომ ყველასთვის ცხადია, რომ 50 კილოგრამ „მარიხუანას“ ერთი ადამიანი, თუმდაც ყოველდღიურად რომ მოიხმაროს, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ მოწევს, თუმცა კანონში გვაქვს ეს „ხვრელი“, რომელსაც აქტიურად იყენებენ.

ზოგადად, „მარიხუანას“ რეალიზაციამ დიდი მასშტაბები მიიღო, რადგან მოხმარება დასჯადი არ არის და რაც ყველაზე მთავარია, სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან შედარებით, ბევრად იაფია. ნახევარლიტრიანი ქილა 400-500 ლარად იყიდება, 4-5 კაცი ფულს კრებს და ინაწილებს, ნაყიდი პროდუქცია კი აქტიური მოხმარების პირობებშიც, ერთ ადამიანს ერთი კვირა ჰყოფნის. შესაძლოა, ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ნარკოლიბერალიზაციამ, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ძალიან ცუდი შედეგი მოიტანა. არაერთისგან გაგვიგონია, რომ 200-კაციან ქორწილში, 30 ლიტრი ღვინიც კი არ დაილია, რადგან ახალგაზრდებს ღვინის სმას, „მარიხუანას“ მოხმარება ურჩევნიათ და რესტორანში მოწევა რომ შეიძლებოდეს, პირდაპირ სუფრაზე გააბოლებდნენ.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რა შედეგს მოიტანს საზღვარზე გამკაცრებული კონტროლი, რადგან რატომღაც მგონია, რომ ნარკოტიკი საქართველოში არა ოფიციალური საზღვრიდან, არამედ, კონტრაბანდული გზით შემოდის. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი კი იტყვის, რომ საზღვრებს აკონტროლებს, მაგრამ თუნდაც საგარეჯოს მიმართულება ავიღოთ – 80-კილომეტრიან მონაკვეთზე 8 მესაზღვრე რომ მორიგეობს, ნარკოტიკის გადმოტანა კი არა, აქლემების ქარავანი შეიძლება ისე გადმოივყანო, ვერავინ ვერაფერი გაიგოს. მესმის, რომ საზღვრის სრული კონტროლი ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ როგორმე ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

მხოლოდ ნარკოტიკზე არ მაქვს საუბარი, საზღვრის გადაკვეთა და გადმოკვეთა საერთაშორისო თუ საქართველოში ძებნილ პირებსაც შეუძლიათ და გვერწმუნეთ, ჩვენს ქვეყანაში ისე არავინ შემოდის, როგორც თავის დროზე, მესამე პრეზიდენტი შემოვიდა – ბევრად მარტივი გზები არსებობს ამისთვის. ჰოდა, სწორედ ამიტომ მგონია, რომ ნარკოტიკები კონტრაბანდული გზით შემოედინება.

შესაძლოა, სამართალდამცავებს ჩემი მითითება არ სჭირდებათ, მაგრამ თუნდაც დედაქალაქში არსებობს კონკრეტული ლოკაციები, სადაც ნარკოტიკები, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით, პირდაპირ დახლზე უდევთ. ღამის კლუბებში, კლუბური ნარკოტიკის შეძენა პრობლემას არ წარმოადგენს და სადაც კლუბური იყიდება, იქ ბევრად მძიმე ნარკოტიკის აღება-მიღებაც არ უნდა იყოს პრობლემა.

ცალკე მტკივნეული თემაა თბილისისა და მისი შემოგარენის სასაფლაოები. სწორედ საფლავის ქვებს ირჩევენ ლოკაციებისთვის ნარკოტიკების გამსაღთებლები, რადგან ადვილია, სურათი გადაუღიო საფლავის ქვას და მყიდველს ჩაუგდო ადგილი, სადაც ეს საფლავი მდებარეობს. ამიტომაცაა, სასაფლაოებზე ღამით არაერთ ადამიანს რომ ნახავთ, რომლებიც სიბნელეში ციცინათელებივით დადიან და ნარკოტიკს ეძებენ. ჰოდა, ადრე გარდაცვლილებს თუ საარჩევნოდ ვიყენებდით, ახლა ნარკოტიკების გასაღება „დავავალეთ“ და იქნებ, დავასვენოთ ეს ადამიანები.

დასასრულ, პარლამენტარი, შოუ-ბიზნესის წარმომადგენელი, თუ უბრალოდ ისეთი პიროვნება, რომელიც წარმატებულია საკუთარ სფეროში, სატელევიზიო ეთერში რომ ამბობს, „მარიხუანას“ ყოველდღიურად მოვიხმარ, მაგრამ ამით არაფერს ვაშავებო, დანაშაულია. დანაშაულია იმიტომ, რომ ბევრისთვის ის შეიძლება მისაბაძი ადამიანი იყოს, შესაძლოა, ბევრ პატარას მოსწონს და ამას რომ ისმენს, გონებაში იბეჭდება, რომ ნარკოტიკების მოხმარება დანაშაული არ არის, რომ ნაარკოტიკების მომხმარებლებიც ძალიან წარმატებულები არიან, ტელევიზორში ჩანან, ფული აქვთ. სინამდვილეში კი, არ არსებობს ნარკოტიკი, რომელიც ორგანიზმისთვის, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იქნება. იგივე, „მარიხუანა“ იწვევს მეხსიერების, გაგების და რამე ამოცანის შესრულების უნარის მოკლევადიან გაუარესებას, დროისა და სივრცის შეგრძნების დაკარგვას, იწვევს აპათიას, ამძაფრებს მხედველობით, სმენისა და ყნოსვის შეგრძნებებს, მოტივაციის ნაკლებობას, სექსუალური ემოციების ცვლილებებს, ჰალუცინაციებს, იწვევს საკუთარი თავის, როგორც პიროვნების აღქმის უნარის დაკარგვას, იწვევს ფსიქოზს... ეს არის მცირე ჩამონათვალი, რაც „მარიხუანას“ მოხმარების შემდეგ შეიძლება დაემართოს ადამიანს და ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოჰყვეს მის მოხმარებას, არის ის, რომ შეიძლება, სხვა, უფრო ძლიერ ნარკოტიკურ საშუალებებზე მოთხოვნა გამოიწვიოს.

ვინ არის მაღალჩინოსანი, რომელიც ეჭვიანობის გამო, ცოლმა საყვარლის საწოლში მოკლა



სისხლიანი ოჯახური დრამა

ბათო ჯაფარიძე

სოფლებში, განსაკუთრებით დასავლეთში, ხშირად გაიგონებდით ტყის სულებისა და ჭინკების შესახებ, იმის შესახებაც, რომ დაჭაობებულ მიდამოებში ალქაჯები სახლობდნენ, რომლებიც კაცებს თვალებს უხვევდნენ და დასახრჩობად მიჰყავდათ. სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში, მონადირეთა მფარველ თუ ხელისშემშლელ ქალღმერთზე იყო საუბარი და ბავშვებს ყველაფერ ამის ძალიან ეშინოდათ. პრინციპში, რაღა ბავშვებს, დიდებიც მთელი სერიოზულობით ჰყვებოდნენ, როგორ გადაეყარნენ ტყეში ალქაჯს და როგორ დაუსხლტნენ მის სილამაზეს, როგორ არ მოუმართათ ხელი ნადირობის ქალღმერთა მაშინ, როცა ჯიხვს უმიზნებდნენ, როგორ დააფინა თვალებზე ოქროსფერი დალალები და როგორ ასცდა ტყვია მიზანს.

სავარაუდოდ, სწორედ ალქაჯებსა და ავ სულებზე იფიქრეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც შემოდგომის სუსხიან ღამეს, ტყის ნაპირზე მანქანით მიმავლებს, წინ სრულიად შიშველი ქალი აეტუზათ – ქერათმიანი და სიცივისგან სულ აკანკალებულ-გალურჯებული. ავტომობილის მგზავრები ისე დაიბნენ და შეშინდნენ, გაჩერება არ უნდოდათ, მაგრამ ქალის განწირულმა ყვირილმა, მიშველეთ, ხალხოო, ისინი აზრზე მოიყვანა და მანქანა გააჩერეს. ავტომობილში მჯდომმა ქალბატონმა შიშველ ქალს თავის ლაბადა მოახურა და პირდაპირ სავადმყოფოს კარს მიაყენა. საავადმყოფოდან, რაღა თქმა უნდა, მილიციის განყოფილებაში დარეკეს. ჰო, მილიციის და არა – პოლიციის, რადგან 1980 წელს, საბჭოთა მილიცია გვიცავდა.

„ალალად გეტყვი, როცა განყოფილებაში დარეკეს და თქვეს, რომ გამვლელებმა ტყეში შიშველი ქალი იპოვეს, დიდად არ დავინტერესებულვარ. ვიფიქრე, ცხელ გულზე, ვიღაცამ მანქანიდან გადმოაგდო შიშველი ქალი, უბნის რწმუნებულიც ადვილად გაერკვევა-მეთქი, მაგრამ როცა რაიონული სამმართველოს უფროსმა დამირეკა და მითხრა, პირადად წადიო, სხვა გზა არ მქონდა და უხალისოდ გავემართე ადგილისკენ, სადაც ჩემი აზრით, სუსტი ნებისყოფის, საყვარლისგან დასჯილი ქალი მელოდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი ბატონი თენგიზი.

როცა გამომძიებელი საავადმყოფოში მივიდა, უკვე აზრზე მოსულმა ქალმა უთხრა, რომ საკუთარი ბინიდან მძინარე გაიტაცეს და ტყეში შიშველმა გაიღვიძა. რაც მთავარია, ის ერთ-ერთ პარტიულ მაღალჩინოსანს მასპინძლობდა და... წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ბედი ეწია კავალერს. იმის გათვალისწინებით, სად მუშაობდა ცოლ-შვილიანი თანამდებობის პირი, ამბავი პროლეტარიატის დონეზე არ უნდა გახმაურებულიყო, ისე კი, მას პარტიულ დონეზე რომ უმკაცრესი სასჯელი ელოდა, არავინ დაობდა. ქალის ბინაში მისულ ძალოვნებს მამაკაცი ლოგინში შიშველი და... გარდაცვლილი დახვდათ. მას დანით მიყენებული სამი ჭრილობა ეტყობოდა და მართალია, სამივე გულის არეში იყო საკმაოდ ღრმად ჩასული, ექსპერტებმა თქვეს, რომ არაპროფესიონალის ნამოქმედარი იყო და სამჯერ გულის არეში იმიტომ ჩაარტყეს დანა, რომ არ იცოდნენ, ერთი დარტყმის შემდეგ კაცი უკვე გარდაცვლილი იყოო. როგორც ქალის, ისე კაცის ორგანიზმში დიდი ოდენობით დასაძინებელი წამალი იპოვეს. საძინებელში მაგიდაზე შამპანურის გახსნილი ბოთლი, შოკოლადის ფილა და ყვავილები ეწყო. იქვე იყო კონიაკიც, თუმცა ექსპერტიზის შემდეგ დადგინდა, რომ დასაძინებელი წამალი, სწორედ შამპანურში იყო გარეული.

„პირველი, რაც პარტიამ გააკეთა, გამოსცა ბრძანება, რომელზეც ორი კვირის წინანდელი რიცხვი ეწერა, ვითომ ეს მაღალჩინოსანი ორი კვირის წინ გარიცხეს პარტიიდან. ამით პარტიამ ნამუსი ჩამოიბანა, მაგრამ საქმე გამოსაძიებელი იყო. რაც უნდა მომხდარიყო, მკვლელობას ვერ გავექცეოდით. საინტერესო გახლდათ ისიც, რომ ქალის ჩვენებით, მისი სახლიდან გამქრალი იყო ტანისამოსი, რომლითაც ის სახლში დაბრუნდა და... რომელიც მამაკაცმა გახადა, ოთახში მიმოფანტა და მერე... მერე გაითიშნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ამას გარდა, ქალმა ისიც თქვა, რომ სანამ მამაკაცი მოვიდოდა, მასთან ვიღაც ბიჭი მივიდა, რომელმაც ყვავილები, შამპანური და შოკოლადის ფილა მიიტანა, კონიაკი კი მამაკაცმა მოიტანაო. მას ეგონა, ყველაფერი ეს პარტიული მაღალჩინოსნის ძღვენი იყო, თავად რომ არ ეტარებინა, მაგრამ კითხვა ვერ მოასწრო, უფრო ზუსტად, არც უფიქრია ეკითხა, რადგან გარდაცვლილმა ზუსტად იცოდა, რომელი ყვავილი, რომელი შოკოლადი და რომელი შამპანური უყვარდა ქალს. ძღვენი კი მის გემოვნებას ერთი-ერთში ემთხვეოდა. ცხადი იყო, დასაძინებელ წამალს შამპანურში მამაკაცი თავად არ გაურევდა, არც თავს მოიკლავდა და ზოგადად, ბევრი რამ იყო უცნაური, თუნდაც ის, სად წავიდა ქალის ტანსაცმელი.

მეზობლების დაკითხვის შემდეგ გამოძიება ჩიხში უფრო ღრმად შევიდა. ორი მეზობელი ამტკიცებდა, რა შიშველი, ეს ქალი კიბეზე შეგვხვდა და ზუსტად გვახსოვს, რა ეცვაო და ყვებოდნენ იმ ტანისამოსის შესახებ, რომელიც გამქრალი იყო. გამორიცხული გახლდათ, ქალი გასულიყო ტანსაცმლით სახლიდან და ეს არ ხსომებოდა. არადა, მეზობლები ამტკიცებდნენ, მარტო მიკუნტრუშებდა კიბეზე, თავსაფარი და სათვალე ეკეთაო... ანუ, იმის დაშვებაც შეიძლებოდა, რომ ქალმა მამაკაცი მოკლა, მერე ბინიდან გავიდა, ყველაფერი გაითამაშა და ტანისამოსი ტყეში დამალა. შანსი ნაკლები იყო, მაგრამ იმ ადგილთან ახლოს, სადაც ქალი იპოვეს, სამართალდამცავებმა ტყე როგორც ადამიანური, ისე კინოლოგების რესურსით დაათვალიერეს, მაგრამ უშედეგოდ.

„გარდაცვლილის ცოლი დავკითხე, მან არ უარყო, რომ იცოდა ქმრის ღალატის შესახებ, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა. გაყრა ქალსაც არ აწყობდა, ყველაფრის გარეშე რჩებოდა და მსუყე ალიმენტის იმედიც არ უნდა ჰქონოდა, რადგან ოჯახის დანგრევის შემთხვევაში, ქმრის კარიერა ჩაილურის წყალს დალევდა (ასე იყო მაშინ) და ითმენდა. ახლა კი, არც ქმარი შერჩა და აღარც არაფერი – ის პარტიიდანაც გარიცხული იყო და საეჭვო გახლდათ, რომელიმე მეგობარს თავი გამოედო და ოჯახს თან გადაჰყოლოდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, გამოძიებამ სადღაც ისიც კი იფიქრა, ეგებ, სახელმწიფომ მოიშორა მაღალჩინოსანი, რადგან საჭიროზე მეტი გაიგოო (არ იყო ეს იმ დროისთვის უცხო ხილი), მაგრამ მოულოდნელად, განყოფილებაში მოკლულის საყვარელი გამოცხადდა და ერთადერთი სიტყვა თქვა – „ვიპოვე!“ როგორც გაირკვა, მან ის ბიჭი ამოიცნო, რომელმაც საბედისწერო პაემნამდე ცოტა ხნით ადრე შამპანური, შოკოლადის ფილა და ყვავილები მიართვა. ქალი ბიჭს უკან ჩუმად გაჰყვა, მისი საცხოვრებელი გაიგო, მეზობლებში მოიკითხა მისი ვინაობა და მაშინვე მილიციაში გამოვარდა. ნახევარ საათში, ბიჭი გამომძიებლის ოთახში დაკთხვაზე იჯდა.

„ჩემთვის მივდიოდი იმ უბანში, როცა ვიღაც ქალმა გამაჩერა, მითხრა, დაქალს სიურპრიზს ვუმზადებ, ეგებ, ეს ნივთები აუტანოო და 5 მანეთიც მომცა. 5 მანეთი ჩემთვის ფულია, ნივთებში კი აკრძალული არაფერი იყო. ავიტანე და ჩემს გზაზე წავედი“, – განაცხადა ბიჭმა.

ეს რაღაც ახალი იყო – მკვლელობაში მონაწილე ქალი გახლდათ. დაკავებულს საყვარლის ფოტო ანახეს და მან თავი გააქნია, ეს ნამდვილად არ იყოო. შემდეგ თავისუფლებაზე მყოფი სხვადასხვა დროს ნასამართლევი ქალების ფოტოები ანახეს, ბიჭი ყველაზე თავს იქნევდა, ბოლოს კი... ბოლოს გარდაცვლილის ქვრივის სურათი დაუდეს წინ და ბიჭს თვალები გაუბრწყინდა, ეს არის, შამპანური, ყვავილები და შოკოლადის ფილა, სწორედ ამ ქალმა გამატანაო. მოკლული დასაფლავებულიც არ იყო, როცა მისი მეუღლის დაპატიმრების ორდერი გაიცა და ის განყოფილებაში პირდაპირ პანაშვიდიდან მიიყვანეს. ქალს თავიდან ნერვიულობის ნატამალიც არ ეტყობოდა, მაგრამ როგორც კი ბიჭთან დააპირისპირეს, ნირი წაუხდა და გამომძიებელთან შეხვედრა ითხოვა. მან პირდაპირ თქვა, მთელ სქემას გაგიშიფრავთ, ოღონდ, ერთი პირობით – მე ციხეში არ უნდა წავიდე, რადგან ბავშვები უპატრონოდ მრჩებაო. გამომძიებელმა კონსულტაცია ზემდგომებთან გაიარა და პირობაც მიიღო – ქალი მკვლელი არ უნდა ყოფილიყო, მონაწილეობას აპატიებდნენ და მხოლოდ პირობითს მიუსჯიდნენ. დაკავებული თითქოს შეყოყმანდა, მერე თავი დაიქნია.

„ქმარი არათუ მღალატობდა, არაფრად მაგდებდა. ყველაფერს ვიტანდი და ბოლოს მითხრა, უნდა გაგშორდე, კარიერა ფეხებზე მკიდია, ის ქალი მიყვარსო. თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ ჩემი მეუღლის თანამშრომელი მეწვია ერთხელ სახლში და მთხრა, მოგაშორებ კონკურენტს, თუ დამეხმარებიო. დახმარებაში იმ ნივთების გადაცემას გულისხმობდა, მერე კი, ქალის სამოსი უნდა ჩამეცვა და მეზობლების დასანახად კიბეებზე მევლო, რადგან ყველას ჰგონებოდა, რომ ის უნამუსო გათიშული კი არ გაათრიეს, თავისით გავიდა. ჩემი ქმრის მეგობარს გათვლა ჰქონდა, ამბავი რომ გახმაურდებოდა, მას მოხსნიდნენ და მის ნაცვლად, თავად დაინიშნებოდა თანამდებობაზე. ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, მაგრამ როცა ბინაში შევედი, ჩემს ქმარს უკვე დანა ჰქონდა დარტყმული, ვერ მოითმინა მისმა ხელქვეითმა და მოკლა“, – დაასრულა ქალმა მოყოლა, მაგრამ...

„ყველაფერს იტყუება. ვაღიარებ, რომ გეგმა ჩემი მოფიქრებული იყო, მაგრამ მხოლოდ კაცის დისკრედიტაცია მინდოდა. ორივე შიშველი უნდა დამეტოვებინა ტყის პირას და ერთმანეთისგან მოშორებით, მაგრამ ის ქალი სახლში რომ ამოვიდა და ქმარი შიშველი სხვა ქალის გვერდზე დაინახა, ვეღარ მოითმინა, დანა აიღო და გულში რამდენჯერმე ჩაარტყა. მე მკვლელი არ ვარ“, – ეს უკვე იმ კაცის განცხადებაა, ვინც გარდაცვლილი ჩინოვნიკის ადგილს უმიზნებდა.

რა თქმა უნდა, ქალთან გაფორმებულმა ზეპირმა შეთანხმებამ ხელშეუხებლობაზე ბოლომდე ვერ იმუშავა და ის ციხეში გაუშვეს, თუმცა მხოლოდ 2 წლით, რადგან... სასამართლოზე მკვლელობის შემამსუბუქებელ გარემოებად აფექტი მიუთითეს.

ბათო ჯაფარიძე

ასაფეთქებელი ნივთიერებების საწყობები თუ ქიმიური ლაბორატორიები ყოველთვის უმკაცრესად კონტროლდებოდა, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის დროს, როცა რეალურად არავინ იცოდა, რას ან რისთვის აკეთებდნენ. ყველაფერი ეს, მართლაც, ძლევამოსილი და საბჭოეთში ყველაზე გამართული სტრუქტირის – „კა გე ბე“-ს პატრონაჟის ქვეშ იყო და ამიტომ, თუ სადმე, რამე აფეთქდებოდა, არა მარტო იმ რესპუბლიკის უშიშროების სამსახური დგებოდა ფეხზე, არამედ, მთელი საბჭოთა კავშირის სისტემა ერთვებოდა, რადგან „კა გე ბე“-ს ყველგან უცხოური აგენტურა, ასევე, დივერსანტები ელანდებოდა. ჰოდა, საქართველოს ერთ-ერთი მიყრუებული სოფელი უშიშროების ინტერესში მას შემდეგ მოექცა, რაც ქორწილში, სტუმრების გასართობად, ერთ-ერთმა ნასვამმა ადგილობრივმა სახლიდან რაღაც ყუთი გამოიტანა, სუფრიდან მოშორებით დადო და... აფეთქების ხმამ არე-მარე გააყრუა, სახლების მინები ჩაიმსხვრა, თავად მამაკაცი კი ნაფლეთებად იქცა. ქორწილში მყოფმა უბნის რწმუნებულმა ივარგა და შემთხვევის ადგილს არავინ გააკარა, ადგილზე მისულმა ექსპერტებმა კი უშიშროების თანამშრომლები გამოიძახეს, რადგან ნივთერება, რომელიც აფეთქდა, ვერც ფერით, ვერ სუნით ვერ იგრძნეს ანუ საიდუმლო ობიექტიდან იყო შეტანილი.

აფეთქება ქორწილში

როგორ მოხვდა აკრძალული ნივთიერება მოსკოვიდან დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში

ქართული უშიშროების თანამშრომლები საქმეს და ნივთიერებას დეტალურად კი სწავლობდნენ, მაგრამ ჩიხში შევიდნენ – ასაფეთქებელი ნივთერება მათთვისაც უცხო იყო და ამიტომ, მოსკოვს დაუკავშირდნენ, საიდანაც ექსპერტთა ჯგუფი სპეციალური რეისით გადმოაფრინეს. როდესაც ადგილზე ჩამოსულებმა ნივთიერების ანალიზი ჩაატარეს, მაშინვე მოსკოვს უპატაკეს, რომ აღნიშნულ ნივთიერებას ერთადერთ დახურულ ობიექტზე აწარმოებდმემ და ინახავდნენ. ეს ობიექტი კი... ლამის, შუაგულ მოსკოვში იყო. აი, ვის შეიძლებოდა იქიდან რამე გაეტანა, წარმოდგენა არავის ჰქონდა, რადგან ობიექტს სამი დამცავი ზღუდე ჰქონდა და თანამშრომლებს ჯერ თავდაცვის სამინისტროს ხალხი ჩხრეკდა, შემდეგ შინაგან სამინისტროს წარმომადგენლები აკონტროლებდნენ, ბოლოს კი ჩხრეკას უშიშროების თანამშრომლები ახორციელებდნენ ანუ მას, ვისაც ასაფეთქებელი ნივთიერება უნდა გაეტანა, ეს სამი ბარიერი უნდა გაევლო, რაც წარმოუდგენელი გახლდათ. ასევე, გამორიცხული იყო ობიექტის ღობეზე რამეს გადაგდება, რადგან პირველი ზღუდე 8-მეტრიანი კედელი გახლდათ, რომლის შემდეგაც ოთხმეტრიანი მავთულ-ღობე იყო, სადაც მუდმივად მორიგეობდნენ ჯარისკაცები და იყო მესამე ზღუდეც, მავთულხლართით შემოსაზღვრული 6-მეტრიანი კედელი. პირველ და მესამე კედელს შორის დაშორება, დაახლოებით, 40 მეტრი გახლდათ ანუ ვიღაცას ძალიან უნდა მოენდომებინა, რომ ასაფეთქებელი ნივთიერება ამ მანძილზე ესროლა, ესროლა ისე, რომ არავის შეემჩნია და შემდეგ, გარეთ გასული, ღობეს მიახლოვებოდა. რაც მთავარია, არ უნდა შეემჩნიათ გუშაგებს, ეს ნივთიერება უნდა აეღო და წაეღო. ამის განხორციელება თეორიულადაც კი წარმოუდგენელი ჩანდა. გამოდიოდა, ვიღაცას ყველაფერი მანქანით ან საკუთარი სხეულით გამოჰქონდა, მაგრამ თანამშრომლები რენტგენსაც გადიოდნენ და ესეც არარეალური იყო. ჰო, ყველაფერ ამას იქ მომუშავეები რამდენიმე მიზეზის გამო იტანდნენ – პირველი ის გახლდათ, რომ ხელფასი 1000 მანეთიდან იწყებოდა, რაც მაშინ კოლოსალური თანხა იყო (შედარებისთვის, ჩვეულებრივი ინჟინრის ხელფასი 180 მანეთს შეადგენდა), მეორე – თანამშრომლებს ჰქონდათ უფასო საგზურები საბჭოთა კავშირის საუკეთესო კურორტებზე, ურიგოდ იღებდნენ ბინებს, მანქანებს, კვების ტალონებს, თუმცა ყველა მათგანმა ზუსტად იცოდა, რომ ცხოვრების ბოლომდე აკრძალული ჰქონდათ ნებისმიერი მოტივით ქვეყნის დატოვება და ისინი ამაზეც თანახმა იყვნენ.

რუსმა კრიმინალისტებმა დაღუპული მამაკაცის სახლი გაჩხრიკეს და მართალია, მცირე ოდენობით, მაგრამ მათთვის საინტერესო ფხვნილი აღმოაჩინეს. კაცი მარტო ცხოვრობდა, არც ცოლი ჰყავდა და არც – შვილი, თუმცა მეზობლებმა გაიხსენეს, რომ დაახლოებით, ორი თვის წინ, რუსეთიდან ჯარის მეგობარი ესტუმრა და ორი კვირა დარჩა. ერთ საათში, სამართალდამცავები მის პირად საქმეს ათვალიერებდნენ, მოსკოვში კი ჯარის შემადგენლობას სწავლობდნენ. დამთხვევა მალე მონახეს – დახურული ობიექტის ერთ-ერთი დაცვის წევრი, სწორედ გარდაცვლილ მამაკაცთან მსახურობდა. გადაამოწმეს და ისიც გაარკვიეს, რომ ზუსტად ეს კაცი იმყოფებოდა საქართველოში მაშინ, როცა დაღუპულს, მეზობლების თქმით, ჯარის ამხანაგი სტუმრობდა. ახლა, მთავარი იყო, ის დაეკავებინათ და რაც მთავარია, მას ეთქვა, საიდან და რა გზებით გაჰქონდა საგულდაგულოდ კონტროლირებადი ობიექტიდან ასაფეთქებელი ნივთიერება. როგორც აღმოაჩინეს, ეჭვმიტანილის დაკავება არცთუ იოლი იყო. ჯერ ერთი, მას საქართველო არ ჰქონდა დატოვებული (აეროპორტისა და სარკინიგზო სიებში არ იძებნებოდა) და მეორეც, საკუთარი სახლის მისამართზე მოსკოვში, ბოლო ორი თვის განმავლობაში, არავის ენახა. სამსახურიდან კი... გათავისუფლების თხოვნით განცხადება ჰქონდა დატოვებული და აღარც კი მოიკითხა, დაუკმაყოფილეს თუ არა, ერთ დღეს წავიდა და გაქრა.

ყველა ლოგიკით, ის საქართველოში უნდა ეძებნათ და ასეც იქცეოდნენ, როცა უშიშროებაში აგენტურამ საინტერესო ამბავი მიიტანა – ვიღაც რუსი გზებს ეძებდა, რათა თურქეთში გადასულიყო და მზად გახლდათ, 5 ათასი მანეთი გადაეხადაო, თუმცა თურქეთში გადასვლა, დაახლოებით, ორ კვირაში სურდა, რადგან მოსკოვიდან საყვარელი ქალის ჩამოსვლას ელოდა. სამართალდამცავებმა ქვეყნის დატოვების მსურველი მალე დააკავეს და ის ეჭვმიტანილი პირი აღმოჩნდა. პირველივე დაკთხვაზე გასაგებად აუხსნეს, რომ ქმედება შესაძლებელი იყო დივერსიად და სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად შეფასებულიყო, რაც დახვრეტას ნიშნავდა. მამაკაცმა აღიარა, რომ მეგობარს ასაფეთქებელი ნივთერება თავად ჩამოუტანა, არ ეგონა, თუ ასე ბრიყვულად მოიხმარდა, თუმცა საიდან და როგორ ჰქონდა, ხმას არ იღებდა. უშიშროებამ მისი დაკითხვისას ყველა აკრძალული თუ დაშვებული მეთოდი გამოიყენა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. არადა, მის ბარგში ასაფეთქებელი ნივთიერების არცთუ მცირე ოდენობა ნახეს.

ამასობაში, მოსკოვიდან ინფორმაცია მოვიდა, რომ იმავე ობიექტზე მსახურობდა ექთანი, რომელზეც დაკავებული ყურებამდე იყო შეყვარებული, მაგრამ მათ სიყვარულს ხელს ერთი რამ უშლიდა – ექთანს ქმარი ჰყავდა და ეს ქმარი უბრალო ვინმე კი არა, ნაწილის მეთაურის მოადგილე იყო. მეტიც, ცოლის ღალატის შესახებ ქმარმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, რადგან ახალგაზრდა და მართლაც ლამაზი ცოლის დაკარგვა არ სურდა და მეორეც, სკანდალს ერიდებოდა. ამ ამბის გახმაურება და სცენების გამართვა მისი კარიერის დასასრულს ნიშნავდა. უშიშროების თანამშრომლებმა მოსკოვში ქალი დააპატიმრეს და დაჰკითხეს. იმის მიუხედავად, რომ გოგონა თავიდან გაჯიუტდა, საქმეში „პროფესიონალების“ ჩართვის შემდეგ, ყველაფერი დაფქვა.

„ერთმანეთს ჩემს ბინაში ვხვდებოდით მაშინ, როცა ქმარი მორიგე იყო და ობიექტზე რჩებოდა. ზუსტად ვიცოდი, რომ იმ ღამეს შინ არ მოვიდოდა. ერთხელ, ჩემს შეყვარებულს ლოგინის ქვეშ პერანგიდან აწყვეტილი ღილი შეუგორდა, ვერ იპოვა და ლოგინი გამოწია. იქ სამალავს მიაგნო, რომლის არსებობა მეც არ ვიცოდი. სამალავში ბევრი ფული და რაღაც ფხვნილი იყო. მას თვალები გაუბრწყინდა, გვეშველაო, მითხრა და ორ კვირაში გეგმაც გამანდო – საქართვლოში წავიდოდა, იქიდან თურქეთში გადავიდოდით, როცა მეტყოდა, მე იქ უნდა გავფრენილიყავი და სამალავიდან მთელი ფული წამეღო. თავად მხოლოდ ფხვნილი წაიღო, არ ვიცი, რაში სჭირდებოდა. შეგიძლიათ, არ დამიჯეროთ, მაგრამ საბჭოთა კავშირიდან გაქცევას ნამდვილად არ ვაპირებდი, მით უმეტეს, ქმრის მიტოვებას, იმ ქმრის, რომელიც ყველაფრით უზრუნველმყოფდა და ჩემს საყვარელსაც კი იტანდა“, – განაცხადა ქალმა.

რაღა თქმა უნდა, უშიშროებამ ბინაში ჩხრეკა ჩაატარა და ობიექტის უფროსის მოადგილე დააკავა. მან ფხვნილის გატანის მეთოდი მარტივად ახსნა – როცა რენტგენზე დგებოდნენ, ყველა ოფიცერი იარაღს იხსნიდა, მას კი ბუდეში „მაკაროვის“ ნაცვლად ცელოფანში კარგად გამოკრული ფხვნილი ეყარა. მას უფლება ჰქონდა, იარაღი შინ წაეღო და ასე რამდენჯერმე გააკეთა, ამბობდა, ზაფხულში სათევზაოდ წასვლას ვაპირებდი და მსურდა, მდინარეზე ამეფეთქებინაო, მაგრამ რაღა თქმა უნდა, უშიშროებამ არ დაუჯერა და... მეთაურმა, დაკავებიდან ორ კვირაში, „თავი მოიკლა“. მოსკოვის ციხეში გადაყვანის დროს, „დომოდედოვო“-იზოლატორის გზაზე, „გაქცევის მცდელობის“ დროს მოკლეს საქართველოში დაკავებული პირი. ქალი კი, რომელმაც უშიშროებასთან ბოლომდე ითანამშრომლა, საბოლოოდ, ფსიქიატრიულში აღმოჩნდა.

სამართალი

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და ექვსი პირი დააკავეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ხ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო 2 ცეცხლსასროლი იარაღი.

ამავე ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული ლ.კ. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ლენტეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1999 წელს დაბადებული რ.რ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა–შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ რ.რ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „აკს“-ისა და „აკმ“-ის მოდელების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები, 2 მჭიდი და 30 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1959 წელს დაბადებული ზ.ბ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „აკს 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე, გამომშრალი „მარიხუანა“.

1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ე.ხ. გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო რევოლვერი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად – 1962 წელს დაბადებული გ.შ. დააკავეს. მას ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა. სამართალდამცველებმა გ.შ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას რევოლვერი და 3 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაურმა თურქ კოლეგას სტამბოლის ცენტრში მომხდარი ტრაგედიის გამო მიუსამძიმრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, 13 ნოემბერს, სტამბოლის ცენტრში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს, სამინისტროს სახელით, სამძიმრის წერილი გაუგზავნა.

ვახტანგ გომელაურმა ღრმა მწუხარება გამოთქვა აფეთქების შედეგად მომხდარი ტრაგედიის გამო და თანადგომა გამოხატა გარდაცვლილთა ოჯახებისა და ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ამ ტრაგიკული შემთხვევის დროს დაზარალდა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად ჩემი სახელით, გამოვხატავ ღრმა მწუხარებას სტამბოლის ცენტრში მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელსაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს, მსურს, გამოვხატო ჩვენი თანადგომა გარდაცვლილთა ოჯახებისა და ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ამ ტრაგიკული შემთხვევის შედეგად დაზარალდა.

ძვირფასო კოლეგა, გიდასტურებთ ჩემს მხარდაჭერასა და თანადგომას. კიდევ ერთხელ გამოვხატავ ღრმა მწუხარებას მომხდარის გამო“, – წერს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური სამძიმრის წერილში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ბორჯომის სკოლებში საინფორმაციო შეხვედრები გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, სკოლებში შეხვედრები გრძელდება.

სამინისტროს წარმომადგენლებმა მოსწავლეებთან შეხვედრები სამცხე-ჯავახეთში, ბორჯომის N1 და N3 საჯარო სკოლებში გამართეს.

საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრების მიზანია, სკოლის მოსწავლეებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე, არასრულწლოვნების მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების პრევენცია.

საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ბავშვთა უფლებების, ნაადრევი ქორწინების და მისი ზიანის, ბულინგის, ძალადობისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ. შეხვედრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ბავშვებს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობის ამსახველი ვიდეორგოლი წარუდგინეს.

შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სამართალდამცველებმა მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, სკოლებში საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები გრძელდება და ქვეყნის მასშტაბით, ეტაპობრივად, სხვადასხვა სკოლაში გაიმართება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ადამიანით ვაჭრობის თემაზე ეუთოს მხარდაჭერით გამართული სიმულაციურ სწავლება გაიარეს

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მხარდაჭერითა და ორგანიზებით, პროექტის – „ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა: სიმულაციური ხასიათის ეროვნულ ტრენინგზე დაფუძნებული მდგრადი თანამშრომლობა“ ფარგლებში, საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე ეროვნული სიმულაციური ტრენინგი პირველად ჩატარდა.

სიმულაციურ სწავლებაში, რომელიც ხუთი დღის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა, ფინანსთა სამინისტროსა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები.

სწავლებისა და პროექტის დახურვის ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე დაესწრო, რომელმაც პროექტის ბენეფიციარებს, ასევე, მონაწილეებს სწავლების წარმატებით დასრულება მიულოცა და ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორმა აგრეთვე მადლობა გადაუხადა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (OSCE) გაწეული დახმარებისა და პროექტის ორგანიზებისთვის. ღონისძიებაზე ყურადღება გამახვილდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლისა და სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხზე, ასევე, შედეგიანი და მსხვერპლზე ორიენტირებული სამართალწარმოების და სიმულაციური ხასიათის სწავლების დანერგვის მნიშვნელობაზე.

ეუთოს მხარდაჭერილი პროექტისა და სწავლების ფარგლებში, წინასწარ მომზადებული, იმიტირებული სცენარის მიხედვით განსაზღვრული იყო პრაქტიკული სავარჯიშოები და აქტივობები, რომლებიც მაქსიმალურად მიახლოებული იყო რეალურ სისხლის სამართლის საქმეებთან. შესაბამისად, ტრენინგის მონაწილეებს, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალებაც ჰქონდათ.

პროექტის დახურვის ღონისძიების დასასრულს, ტრენინგში მონაწილე უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა სწავლების მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადასცეს.

„ლივერპულში“ მამარდაშვილისა და კვარაცხელიას დამატებაზე ალაპარაკდნენ

მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის გამო, ეროვნული ჩემპიონატები, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში ჩერდება და არ აქვს მნიშვნელობა, იღებს თუ არა ამ ქვეყნის ნაკრები მუნდიალზე მონაწილეობას. მსოფლიო პირველობა საფეხბურთო საზომებით უდიდესი ფორუმია და ამიტომ, სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანი ხდება. შედეგად, კლუბების მეპატრონეებს მშვიდ გუნებაზე შეუძლიათ სამომავლო გაძლიერებაზე იფიქრონ და იმ ფეხბურთელების ფასები მოიკითხონ, რომლებმაც მიმდინარე სეზონში თავი უკვე გამოიჩინეს. ისიც ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად გამოჩნდება რამდენიმე ისეთი ახალგაზრდა, რომელიც აქამდე ჩრდილში იყო და მათზე ნადირობის სეზონიც დაიწყება. მანამდე კი... მანამდე, ყველაზე სასურველ ფეხბურთელთა ათეულში ორი ქართველია – გიორგი მამარდაშვილსა და ხვიჩა კვარაცხელიაზე ყველა საუბრობს და იმის მიუხედავად, რომ ხვიჩას ფონზე, თითქოს, მამარდაშვილი დაიკარგა და ქართული მედიაც კი ვერ უთმობს სათანადო ყურადღებას, ახალგაზრდა კიპერი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეკარედ ითვლება და მასზე გრანდები ნადირობენ. ნადირობენ იმიტომ, რომ მამარდას მიყვანით, მეკარის პოზიციის პრობლემას უახლესი ათი წლის განმავლობაში გადაწყვეტენ, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. „ვალენსიას“ საშინელი დაცვის ფონზეც კი, მამარდაშვილი აშკარად ბრწყინავს...

სავარაუდოდ, ახალ წლამდე, არა მარტო ინგლისის, არამედ, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბი – „ლივერპული“ გაიყიდება. როგორც ამბობენ, მისი შეძენაც არაბ მილიარდერებს სურთ და ასეთ შემთხვევაში, ფულს არ დაზოგავენ. ჰოდა, ინგლისური მედია წერს, რომ წლევანდელ სეზონზე გუნდის თავკაც იურგენ კლოპს ხელი უკვე ჩაქნეული აქვს, ზუსტად იცის, ჩემპიონი ვეღარ გახდება (ლიდერს 15 ქულით ჩამორჩება), ამიტომ აქცენტს მომავალ სეზონზე აკეთებს და უკვე მოითხოვა 200 მილიონი, რათა „ნაპოლიდან“ ვიქტორ ოსიმენი და ხვიჩა კვარაცხელია იყიდოს. ოფიციალურად, ოსიმენს კონტრაქტში გამოსასყიდ თანხად 100 მილიონი უწერია, ხვიჩა კი ტრანსფერმარკეტზე 60 მილიონად დაფასდა, მაგრამ ყველა ხვდება, თუ ქართველმა ასე გააგრძელა, სეზონის ბოლოს, მისი ფასი 100 მილიონზე ნაკლები არ იქნება, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. სეზონის ბოლოს, „ლივერპულიდან“ წასვლას გეგმავს სათადარიგო მეკარე და გუნდის თავკაცს, მის ნაცვლად, გიორგი მამარდაშვილი უნდა. არადა, ახლა გიორგის მეორე მეკარედ სადმე წასვლა, თუნდაც ეს „ლივერპული“ იყოს, გამართლებული არ არის. „მეტრისაიდელების“ კარის ძირითადი დარაჯი ალისონი ძალზედ დამაჯერებელია და მისთვის კონკურენციის გაწევა ურთულესი იქნება, მით უმეტეს, რომ ალისონი წლებია პრემიერლიგაში თამაშობს და სიტუაციას მორგებულია. ამიტომ, სჯობს, მამარდაშვილმა მოიცადოს და ისეთი წინადადება განიხილოს, სადაც პირველ მეკარედ დაუძახებენ. ახალი კონტრაქტის მიხედვით, ქართველი კიპერის გამოსასყიდ თანხად 100 მილიონი ევრო წერია, მაგრამ ყველამ იცის, რომ „ვალენსია“ მას 70 მილიონადაც დათმობს.

ბაზაძემ მსოფლიოს თასი და რეიტინგი მოიგო

ალჟირში, ხმლით მოფარიკავეთა შორის, მსოფლიო თასის გათამაშება დასრულდა. ტურნირს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მასში მონაწილეობა პალანეტის 64-მა უძლიერესმა მოფარიკავემ მიიღო და, რა თქმა უნდა, მათ შორის იყო ევროპის მოქმედი ჩემპიონი და მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერი, სანდრო ბაზაძე. ამ ტურნირზე გამარჯვება, გარდა თავდაჯერებულობისა და პირადი ჯილდოსი, სანდროს მსოფლიოს რეიტინგის პირველობასაც მოუტანდა, რაც არანაკლებ საპატიოა. არადა, მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ტურნირი აშკარად დამღლელი იყო.

სხვათა შორის, ბევრს ეგონა, რომ ქართველი მოფარიკავე მეოთხედფინალში, სამხრეთ კორეელ ბონგილ ლუსთან დამარცხდებოდა, რადგან აზიელი მოფარიკავე ოლიმპიური თამაშების ორი ოქროს, მსოფლიოს ჩემპიონატების ოთხი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს, აზიური თამაშების ხუთი და აზიის ჩემპიონატების 14 ოქროს მფლობელია. როგორც ჩანს, სანდრო სწორედ მისთვის მოეზადა განსაკუთებულად და ყველაზე იოლადაც მას სძლია – 15:3.

შემდეგ კი იყო რთული ნახევარფინალი ეგვიპტელ მეტოქესთან (15:13) და ფინალი ტრადიციულ მეტოქესთან – იტალიელი ლუიჯი სამელე ბევრს ეცადა, მაგრამ ქართველმა გამარჯვება არ დაანება. ჰოდა, ახლა, მსოფლიოს ნომერ პირველი ხმალი... ქართველის ხელშია!

საქართველოს ნაკრები წლის ბოლო შეხვედრას მაროკოსთან გამართავს

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი 20 ნოემბერს, ყატარისა და ეკვადორის მატჩით იხსნება. მანამდე კი, მუნდიალზე გასული გუნდები ცდილობენ, ამხანაგური შეხვედრების გამართვა მოასწრონ, სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზები დახვეწონ და ყველა ნაკრები საქმეს სხვადასხვაგვარად უდგება. მაგალითად, გერმანელები, ესპანელები, ფრანგები ცდილობენ, ზედ მუნდიალის წინ, უსუსტეს მეტოქეს შეხვდნენ, ბევრი გოლი გაიტანონ, რომ მსოფლიოზე კარგ ხასიათზე და თავდაჯერებულები გავიდნენ. სხვები შედარებით ძლიერ მეტოქეს არჩევენ, სუსტი მხარეები რომ დაინახონ და ა.შ. აი, მაროკოელებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ნაკრებს ეთამაშონ. შეხვედრა 17 ნოემბერს, საამიროების ქალაქ შარჯაში გაიმართება და თბილისის დროით, 20.00 საათზე დაიწყება. პირდაპირ რეპორტაჟს კი საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს.

რაც შეეხება ნაკრების შემადგენლობას, ვილი სანიოლმა საბრძოლო გუნდი გამოიძახა. ნაკრებში არ არიან დავით ხოჭოლავა და გიორგი მიქაუტაძე, რომლებსაც საკლუბო დონეზე უწევთ ასპარეზობა და ფრანგული „ბორდოს“ ხელმძღვანელობაც თავს იგიჟებს, ეგებ, ზურიკო დავითაშვილი არ გამოიძახოთ, მნიშვნელოვანი მატჩისთვის გვჭირდებაო, თუმცა ზურიკო ჯერ განაცხადშია. რაც შეეხება ნაკრებს:

მეკარეები: გიორგი ლორია („ანორთოსისი“,კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“,სლოვაკეთი), სოლომონ კვირკველია („ნეფთჩი“, აზერბაიჯანი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), ჯემალ ტაბიძე („დინამო“, თბილისი), საბა საზონოვი („დინამო“, მოსკოვი, რუსეთი);

ნახევარმველები: საბა ლობჟანიძე („ჰათაისპორი“, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი (ორივე „ლეხი“, პოლონეთი), ლევან შენგელია („პანეთოლიკოსი“, საბერძნეთი), ანზორ მექვაბიშვილი („დინამო“, თბილისი), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო“, ბათუმი), გიორგი აბურჯანია („ჟილ ვისენტე“, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე („სლოვანი“, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი („ბორდო“, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), გიორგი გოჩოლეიშვილი („საბურთალო“);

თავდამსხმელები: დავით ვოლკოვი („საბაჰი“, აზერბაიჯანი), გიორგი ბერიძე („ანკარაგუჯუ“, თურქეთი), გიორგი ქვილითაია („აპოელი“, კვიპროსი).

ყატარში მილიარდებად გაყიდული მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება

2010 წელს გადაწყდა, რომ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატი რუსეთში გაიმართებოდა, ხოლო 2022 წლის პირველობა – ყატარში. არადა, თავიდან ასეთი მოსაზრება იყო, რუსეთის შემდეგ, მუნდიალისთვის ამერიკას უნდა ემასპინძლა და ეს მსოფლიოს ორი მძლავრი სახელმწიფოსთვის ერთგვარი მშვიდობის ჟესტი იქნებოდა, მხარეებს ურთიერთობა ექნებოდათ, როგორც საორგანიზაციო თვალსაზრისით, ისე გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. მაგრამ, ფიფას კონგრესამდე ერთი კვირით ადრე, რაღაც შეიცვალა.

„კონგრესამდე 10 დღე რჩებოდა, როცა უეფას პრეზიდენტმა, მიშელ პლატინიმ დამირეკა და მითხრა, რომ 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ყატარისთვის უნდა მიგვეცა. გამიკვირდა, რადგან ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, პლატინიმ კი მითხრა, რომ მან ქვეყნის პრეზიდენტთან, ნიკოლა სარკოზისთან და ყატარის პრინცთან ერთად ისადილა და სარკოზიმ პირადად სთხოვა პლატინის, ეს თემა მოეგვარებინა. დავიბენი და პლატინი მეკითხება, რას გააკეთებდი, შენთვის დავალება შენი ქვეყნის პრეზიდენტს რომ მოეცა? მე ვუპასუხე, რომ ამაზე არ მიფიქრია, რადგან შვეიცარიაში პრეზიდენტი არ გვყავს“, – ეს განცხადება ფიფას ყოფილმა პრეზიდენტმა, ზეპ ბლატერმა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გააკეთა.

საბოლოო ჯამში, პლატინიმ მოახერხა და კიდევ ოთხი ადამიანის გადაბირება შეძლო, რამაც მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება, სწორედ ყატარმა მიიღო. მომხდარიდან 6 თვის შემდეგ, ყატარმა საფრანგეთისგან 15 მილიარდ დოლარად საბრძოლო თვითმფრინავები შეიძინა. მალევე, ყატარელ ბიზნესმენზე გაიყიდა ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“, რომელიც იმ დროისთვის სულს ღაფავდა და გუნდი უყბრალოდ გაკოტრებული იყო. „პსჟ“ დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი კლუბია. გუნდში ლიონელ მესი, კილიან მბაპე და ნეიმარი თამაშობენ, რითაც ყველაფერია ნათქვამი. როგორც მერე გაირკვა, სარკოზიმ ყატარის პრინცს მუნდიალის მასპინძლობის მიღების სანაცვლოდ, სწორედ ამ ორი რამის გაკეთება სთხოვა.

„ვაღიარებ, ყატარის არჩევა შეცდომა იყო და ამის გამო, ხშირად მაკრიტიკებენ. მაკრიტიკებს ფიფას ამჟამინდელი პრეზიდენტიც, მაგრამ მას ერთი კითხვით გავაჩუმებ – რატომ გადავიდა ის საცხოვრებლად ყატარში, ვითომ პროცესის მიმდინარეობას აკონტროლებს? სისულელეა – კონტროლი ვიზიტებითაც შეიძლება და არა მუდმივად იქ ცხოვრებით“, – ესეც ბლატერის სიტყვებია.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ კორუფციული გარიგებების გამო, ბლატერსა და პლატინის ფეხბურთში მოღვაწეობა სამუდამოდ აუკრძალეს და ამ საქმეების ძიება ახლაც მიმდინარეობს. ბლატერს პროცესი ნაკლებად აინტერესებს, 86 წლისაა და როგორც ამბობენ, მისი ქონება 2010 წლის არჩევნების შემდეგ (სადაც ყატარი გამარჯვებულად გამოცხადდა) 200 მილიონი დოლარით გაიზარდა და სწორედ ეს თანხა ვერ დაასაბუთა მან, თუმცა ფული არავის წაურთმევია და ბლატერი სიბერეს უზრუნველად ატარებს.

თუ სტამბოლში „საშოპინგოდ“ აპირებთ წასვლას, ეს წერილი აუცილებლად წაიკითხეთ

ია გრიგალაშვილი

სპეცბლოგი თურქეთიდან

მართალია, სტამბოლიდან და სხვადასხვა ქალაქებიდან ქართველ ბიზნესმენებს, კერძოდ, ბუტიკებისა და მაღაზიების მფლობელებს სარეალიზაციოდ ტანსაცმელი, საკვები და სხვადასხვა პროდუქცია ჩამოაქვთ, მაგრამ ამის მიუხედავად, ბოლო წლებში, ქართველებისთვის თურქეთში „შოპინგი“ერთობ აქტუალურია. მოგეხსენებათ, საქართველოში ყველაფერი გაძვირდა, მათ შორის, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქეთში „საშოპინგოდ“ დადის ან ვებ-გვერდებიდან იწერს ყველაფერს, სწორედ ეს სიძვირეა. გარდა იმისა, რომ უცხო ქვეყნის დათვალიერება საინტერესო და ახალი გამოცდილებაა, სტამბოლი, მართლაც არაჩვეულებრივი ადგილია „საშოპინგოდ“. სწორედ ამიტომ, ერთი თვის წინ გადავწყვიტე, სტამბოლში წავსულიყავი. ხუთდღიანი მოგზაურობიდან სამი დღე საყიდლებზე სიარულს დავუთმე, თითქმის ყველა ლოკაცია მოვიარე და ბევრ რამეში გავერკვიე, თუმცა სტამბოლი უზარმაზარი ქალაქია, სადაც 15 მილიონამდე ადამიანი ცხოვრებს და საკმაოდ რთულია, სწორად შეარჩიო ადგილები, სადაც კარგ ტანსაცმელს სასურველ ფასად შეიძენ. როგორც ყველა ქვეყანაში, აქაც ნახავთ დაბალ, საშუალო და კარგი ხარისხის სამოსს. მთავარია, განსაზღვროთ, რისი შეძენა გსურთ, რა ფასში, წინასწარ გაარკვიოთ, როგორ უნდა მიხვიდეთ თქვენი მისამართიდან სასურველ ლოკაციამდე მარტივად და თუ შესაძლებელი იქნება, ინტერნეტში მოიძიოთ სიახლეები ფასდაკლებებზე.

პირადი გამოცდილებით, „ვერსია“ გაგიზიარებთ ინფორმაციას, თუ რა სიტუაციაა კონკრეტულ სავაჭრო ადგილებზე და სად უნდა შეიძინოთ თქვენთვის სასურველი სამოსი სტამბოლში.

ლალელი და აქსარაი / laleli & aksaray

ლალელი-აქსარაი გვერდი-გვერდ მდებარე, თითქმის გაერთიანებული უბანია, აქ იყიდება, როგორც საცალო, ასევე, საბითუმო (მინიმუმ, სამი-ოთხი ერთნაირი) ტანსაცმელი. მთავარია, დრო გქონდეთ და ბევრ მაღაზიას ესტუმროთ, ასევე, გააჩნია კონკრეტულად რისი შეძენა გსურთ, რადგან ხშირად, ქუჩების მიხედვითაა დაყოფილი სექციები. ამიტომ, პირველად მისვლისას ბევრი იბნევა და წარმოდგენა ექმნება, რომ მხოლოდ საბითუმო, ძვირადღირებული პროდუქციის მაღაზიებია.

ამ უბანში თურქული წარმოების ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარებია თავმოყრილი. ხარისხი საკმაოდ მაღალია და ცნობილი ბრენდების მსგავსად, სტილიც გამორჩეულია. თუ გსურთ, ისეთი ტანსაცმელი შეიძინოთ, რომელიც ბევრ ადამიანსაც არ აცვია და თანაც კარგი ხარისხისაა, ლალელე-აქსარაიში უნდა „იშოპინგოთ“. ფასები არც ისე დაბალია, თუმცა იაფადაც ბევრ რამეს იპოვით. სადა მაისურები და პულოვერები, ხარისხთან შედარებით, ძვირი სულაც არაა. რამდენიმე მაღაზიაში თხლად ნაქსოვი და ნაჭრისყელიანი სვიტერი 5-8 აშშ დოლარი ღირდა. ე.წ. ელასტიკები, საცვლების შეკვრა, საღამური და მსგავსი წვრილმანების ფასიც 5-10 დოლარის ფარგლებში მერყეობს. საკმაოდ მრავალფეროვანია პალტოების არჩევანი, უმაღლესი ხარისხის მოსაცმელები კი, შეგიძლიათ, 80-100 დოლარად შეიძინოთ, არადა, მათი მსგავსი პროდუქციის ფასი საქართველოში 400-დან იწყება და 1000 ლარამდე ადის.

რაც შეეხება ბავშვის ტანსაცმელს, ქვემოთ ანუ სანაპიროსკენ მიმავალი ქვედა ქუჩა მთლიანად ბავშვთა განყოფილებას ეთმობა და არჩევანიც დიდია. საცალო ვაჭრობა ან უბანში პრობლემურია, თუმცა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ეს უბანი, ძირითადად, გათვლილია მათთვის, რომლებსაც ბუტიკები ან ონლაინ-მაღაზია აქვთ. ამიტომ ვაჭრობა ძირითადად, დოლარშია, მაგრამ უმეტეს მაღაზიაში ლირასაც იღებენ.

სავაჭრო ცენტრები/მოლები

სტამბოლში უამრავი სავაჭრო ცენტრი, ე.წ მოლია, ზოგი შედარებით პატარაა, ზოგი – ძალიან დიდი და მრავალფეროვანი, აქაც მნიშვნელოვანია განსაზღვროთ რომელი ბრენდია თქვენთვის სასურველი და გამგზავრებამდე გადაამოწმოთ, არის თუ არა იმ მოლში, სადაც მიდიხართ. ეს განსაკუთრებით აუთლეტებს ეხება. ზოგჯერ შესაძლოა, აუთლეტშიც კი არ დაგხვდეთ კარგი ფასდაკლება – სეზონს გააჩნია, ამიტომ ყველაფერი დააზუსტეთ ინტერნეტ სირცეში. აუთლეტში ძირითადად წაროდგენილია ისეთი ბრენდები, როგორიცაა Adidas, Nike, Polo, Levis, guess, peier cardin, ovs, lc Waikiki, penti და ა.შ , ამიტომ როგორც აღვნიშნე, პირველ რიგში, გადაამოწმეთ ბრენდები და არსებული ფასდაკლებები.

გთავაზობთ ცნობილი მოლების არასრულ ჩამონათვალს:

Cevahir Mall; Istanbul Mall; forum Istanbul; mall of Istanbul; akasya mall; Kanyon; Olivium outlet centr; Venezia mega outlet; airoport outlet centr; Viaport Asia outlet centr ; Armonipark Outlet centr; metropol.

თუ აუთლეტ მოლში „შოპინგი“ არ გსურთ და გინდათ წახვიდეთ ისეთ ბრენდულ მაღაზიებში, როგორიცაა Chanel, Gucci, Dior, Dolce&Gabana, Balenciaga და ა.შ

ესტუმრეთ Zorlu centr-ს და Istinye park-ს.

ტაქსიმი და ნიშანთაში/ Taxim & Nisantasi

თუ ლამაზ ქუჩებში სეირნობა და „შოპინგი“ გიტაცებთ, Taxim-ის მოედანს და Nisantasi – ს უბანს გირჩევთ, აქ ძირითადად ბრენდული მაღაზიებია წარმოდგენილი, რომელთა მცირე ნაწილი საქართველოშიცაა. ფასი არცთუ განსხვავებულია, გააჩნია რომელ სეზონს და ფასდაკლებას დაამთხვევთ, ჩვეულებრივ პერიოდში, საშუალოდ, 15-20 ლარითაა ნაკლები.

ქადიქოი/Kadıköy

Kadıköy-ს უბანში ძალიან ბევრი ბუტიკია, ფასებიც ნორმალური, ლალელთან შედარებით აქ სულ საცალო ვაჭრობაა. სვიტერების/მაისურების შეძენას ქართული ფულით 10 ლარიდან 40 ლარამდე შეძლებთ, თუმცა, ხარისხი და სტილი ლალელიში შედარებით უკეთესია. ქადიქოიში ნებსიმიერი ტრანსპორტით შეგიძლიათ მოხვედრა, ბორანით, მარმარას მეტროთი, ავტობუსით და მარშრუტიებიც მიდის ტაქსიმიდან, აუყვებით ტრამვაის გზას, ახვალთ ხარის ძეგლამდე და მიმდებარე რამდენი ქუჩა სულ მაღაზიებია.

წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი დაასახელეს

პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემამ – People, 2022 წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი გამოავლინა. ჟურნალის მკითხველებმა ეს ტიტული წელს მსახიობ კრის ევანსს მიანიჭეს. Marvel-ის ფილმების 41 წლის ვარსკვლავმა აღაიარა, რომ უკვე ელოდება გახუმრებებს ახლო მეგობრებისგან. თუმცა, არის სულ ცოტა, ერთი ადამიანი, რომელსაც ევანსის ახალი ტიტული გულწრფელად გაუხარდა – ეს დედამისი ლიზაა. „ის ყოველთვის ამაყობდა ჩემით, ახლა კი იტრაბახებს“, – ამბობს ევანსი. მსახიობის თქმით, ბოლო წლებში ცდილობს, ბალანსი დაიცვას სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის და რაც შეიძლება, მეტი დრო გაატაროს შინ, ოჯახთან. მის გეგმებში ახლო მომავალში დაოჯახებაც შედის. თუმცა, ახალი სექს-სიმბოლო პირადი ცხოვრების დეტალებზე ხმას არ იღებს. ჟურნალის ვერსიით, გასულ წელს ყველაზე სექსუალური მამაკაცი 52 წლის ამერიკელი მსახიობი პოლ რადი იყო.

„ლოთი“ მაიმუნი ლუდს იპარავს

ინდოეთში, ქალაქ რაი ბალერიში „ლოთი“ პრიმატი გამოჩნდა, რომელიც მაღაზიებიდან სასმელს იპარავს. ადგილობრივი მედიის ცნობით, ალკოჰოლდამოკიდებული მაიმუნი სასმელს მხოლოდ მარკეტების დახლებიდან კი არ იპარავს, იქიდან გამოსულ ადამიანებსაც სტაცებს ხელიდან. ლუდის მოყვარული მაკაკას ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა და მაშინვე პოპულარული გახდა. მაღაზიების თანამშრომლები ამბობენ, რომ ვინმე თუ მაიმუნს წინააღმდეგობას უწევს, ცხოველი აგრესიული ხდება. ადგილობრივი სამართალდამცველები და სატყეო დეპარტამენტი მსმელი მაიმუნის დაჭერას ცდილობენ.

ხელოვნური სისხლი პირველად გადაუსხეს

სწავლულთა ჯგუფმა, ნისლიანი ალბიონიდან, ადამიანს პირველად გადაუსხა ხელოვნური სისხლი. ეს პროცედურა ორ მოხალისე პაციენტზე ჩატარდა. სპეციალისტების თქმით, ხელოვნური ერითროციტების შეყვანა შესაძლებელია ანემიისა და სისხლის სხვა დაავადებების მქონე ადამიანებისთვის, ასევე, სისხლის იშვიათი ჯგუფის მქონე პაციენტებისთვის. „ერითროციტები ღეროვანი უჯრედებიდან ლაბორატორიაში გამოგვყავს. ისინი ადამიანის ორგანიზმში არსებულის იდენტურია და უკეთესიც კი არის, – აცხადებენ სწავლულები, – ყველა ხელოვნური ერითროციტი ახალგაზრდაა, დონორების ნამდვილ სისხლში კი სხვადასხვა ასაკის უჯრედებია“. მკვლევარები იმედს გამოთქვამენ, რომ ლაბორატორიაში გამოყვანილი უჯრედები უფრო მეტხანს იცოცხლებენ, ვიდრე ჩვეულებრივ, დონორულ სისხლში არსებული. თუკი ეს ექსპერიმენტი წარმატებული იქნება, ადამიანებს, რომლებსაც გადასხმის რეგულარული, ხანგრძლივი პროცედურები სჭირდებათ, მომავალში ეს საკმაოდ იშვიათად დასჭირდებათ.

შვეიცარიული ყველი საუკეთესოა

უელსში, ქალაქ ნიუპორტში გამართულ World Cheese Awards-ზე, Vorderfultigen-ის მწარმოებელმა შვეიცარიულმა კომპანიამ მთავარი, „მსოფლიო ჩემპიონის“ ტიტული მოიპოვა. წელს კონკურსზე მსოფლიოს 42 ქვეყნიდან 4000-ზე მეტი ყველის სახეობა იყო წარმოდგენილი. ჟიური პროდუქტს აფასებდა მისი გარეგნული სახის, ტექსტურის, გემოსა და პირში შეგრძნებების მიხედვით. გამარჯვებული Le Gruyère AOP Surchoix გახდა, რომელიც ძროხის ნედლი რძისგან, ხელით არის ამოყვანილი. ჟიურის წევრებმა აღნიშნეს, რომ ეს ყველი ცოტა ფხვიერია, პირში დნება და მკაფიოდ გამოკვეთილი, სასიამოვნო გემო აქვს.

დაუბადებელი ბავშვი განკურნეს

ამერიკელმა მედიკოსებმა, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, პირველად მოახერხეს და ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი იმ იშვიათი გენეტიკური დაავადებისგან განკურნეს, რის გამოც პატარები, დაბადებიდან მალევე, იღებოდნენ. დედის მუცელშივე გამოჯანმრთელებული გოგონა დროულად გაჩნდა და ახლა უკვე 16 თვისაა. პატარა პაციენტს აილა ბაშირი ჰქვია. ჯერ კიდევ მუცლად მყოფს, პომპეს დიაგნოზი დაუდგინეს. ამ დაავადების გამო კუნთოვანი და ნევრული უჯრედები ზიანდება – კანი და ლორწოვანი გარსი ციანოზური ხდება, ვითარდება ენის ჰიპერტროფია, ტახიკარდია, სუნთქვის გაძნელება. ასეთი ბავშვების უმრავლესობა ორი წლის ასაკამდე კვდება. აილას გამოსაჯანმრთელებლად ექიმებმა დედის მუცელშივე გამოიყენეს ფერმენტების შემცვლელი თერაპია. დედამ და ნაყოფმა ასეთი ექვსი პროცედურა ჩაიტარეს. აილას თერაპია ახლაც გრძელდება. გოგონა თავს კარგად გრძნობს და გადახრების გარეშე ვითარდება.

მზა საკვები ნაადრევ სიკვდილს იწვევს

ბრაზილიელი სწავლულების თქმით, ულტრადამუშავებულმა მზა საკვებმა, მაგალითად, ჰოთ-დოგი, გაყინული პიცა და დონატები, შესაძლოა, ნაადრევი სიკვდილი გამოიწვიოს. მკვლევარების თქმით, ასეთ საკვებს დიდი ხანია უკავშირებენ ისეთი დაავადებების გაზრდილ რისკებს, როგორებიცაა დიაბეტი, გულსისხლძარღვთა დაავადებები და სიმსივნეები. სწავლულებს სურდათ გაერკვიათ, უკავშირდება თუ არა ასეთი საკვები ნაადრევ სიკვდილსაც. შესაბამისი სხვადასხვა სიმულაციების, მოდელებისა და გამოთვლების შედეგად, დაადგინეს, რომ ულტრადამუშავებული მზა საკვების ენერგია, ბრაზილიელ მოზარდებში ენერგიის მთლიანი მოხმარების 13-დან 21%-მდე იყო. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2019 წელს, ქვეყანაში 30-დან 69 წლის ასაკამდე, 500 ათასზე მეტი ზრდასრული გარდაიცვალა. კვლევებით დადგინდა, რომ მათგან 57 ათასის სიკვდილი ულტრადამუშავებული საკვებით იყო გამოწვეული. სპეციალისტების გათვლებით, თუკი ადამიანები შეამცირებენ ასეთი მზა საკვების მოხმარებას, წელიწადში 6-დან 30 ათასამდე სიკვდილის თავიდან აცილება იქნება შესაძლებელი.

„სუპერსასმელი“ კორეელებისგან

ჩრდილოეთ კორეაში, მრავალრიცხოვანი აკრძალვების ფონზე, რეკლამა გამოჩნდა, რომელიც ადგილობრივებს ახალ „სუპერსასმელს“ სთავაზობს. ამბობენ, რომ ის თავის ტვინის უჯრედებს ზრდის. სასმელს რეკლამას ქვეყნის სიახლეთა სააგენტო უწევს. სახელიდან გამომდინარე, წვენს მორანბონგში – დედაქალაქ ფხენიანის გარეუბანში მდებარე კომპანია უშვებს. სასმელი 60 ტიპის მიკროელემენტს შეიცავს და 30-ზე მეტი სახეობის მცენარისგან მზადდება. სასმელს აქვს, როგორც პროფილაქტიკური, ასევე, სამკურნალო თვისებები. ის აუმჯობესებს გონებრივ შესაძლებლობებსა და მეხსიერებას ტვინის უჯრედების გაზრდის მეშვეობით, – ნათქვამია რეკლამაში. სასმელი ნაოჭის გაჩენასაც ებრძვის და ადამიანს ინფარქტებისგანაც იცავს.

მთელ სოფელს სახლის ფასად ჰყიდიან

ესპანეთში ნებისმიერ მსურველს შეუძლია, საკუთრებაში მთლიანი სოფელი ჰქონდეს. პოტენციურ მყიდველს შესაძლებლობა აქვს, დასახლებული პუნქტის მფლობელი გახდეს, რომელიც უკვე 30 წელიწადია, დაცლილია. ლაპარაკია დასახლება სალტო-დე-კასტროზე, რომელიც პორტუგალიის საზღვართან მდებარეობს. 2008 წელს, აქ ტურისტული ცენტრის მოწყობას ვარაუდობდნენ, თუმცა, ეს გეგმები გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო ჩაიშალა და ამჯერად, სოფლის გაყიდვა გადაწყვიტეს. სალტო-დე-კასტრის ღირებულება სულ 240 ათასი ევროა. ამ თანხით, მადრიდში მხოლოდ ერთი სახლის ყიდვა შეიძლება.

ხელის თხოვნას ხალხის ევაკუაცია მოჰყვა

ნიდერლანდებში, საყვარელი ადამიანისთვის ხელის თხოვნის ორიგინალური მეთოდი საცხოვრებელი სახლის სახურავის ჩანგრევიტა და კიდევ ორი მეზობელი სახლიდან მაცხოვრებლების ევაკუაციით დასრულდა. ქალაქ ეისელსტეინში მამაკაცმა ამწე იქირავა და მისი მეშვეობით შეყვარებულის ფანჯარასთან მიახლოება სცადა, რათა მისთვის სერენადა ემღერა და ხელი ეთხოვა. თუმცა, ტვირთამწე გვერდზე გადაიხარა და მეზობელი სახლის სახურავი ჩაანგრია, სასიძოც მიწაზე ჩამოვარდა, მაგრამ იღბლიანად დაეცა და არ დაშავებულა. საბედნიეროდ, გადარჩნენ დაზიანებული სახლის მცხოვრებნიც, რომლებიც იმ მომენტისთვის საკუთარ ბინებში იმყოფებოდნენ. ამწის აღების მცდელობამ კი უფრო მეტი ნგრევა გამოიწვია და მეზობლად მდგარი ორი სახლიდანაც ხალხის ევაკუაცია გახდა საჭირო. მიუხედავად ასეთი წარუმატებელი მცდელობისა, მამაკაცის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო – შეყვარებული მას ცოლობაზე დათანხმდა. პოლიციაში ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, წყვილი პარიზში გაემგზავრა ნიშნობის აღსანიშნავად.

კანფეტები კარიესის წინააღმდეგ

გერმანელმა სპეციალისტებმა კარიესის საწინააღმდეგო კანფეტები შექმნეს. აღსანიშნავია, რომ ტკბილეული საერთოდ არ შეიცავს შაქარს, სამაგიეროდ, მდიდარია „სასარგებლო“ ბაქტერიებით. ტკბილი საკვების მირთმევის შემდეგ, სტრეპტოკოკური მიკრობები კბილის ემალზე რჩებიან და კარიესს იწვევენ. ახალი კანფეტების „მეგობრული“ ბაქტერიები კი უერთდებიან კარიესის გამომწვევებს და არ აძლევენ კბილზე დალექვის საშუალებას. მავნე და სასარგებლო მიკრობების წყვილი საჭმლის მომნელებელ სისტემაში ხვდებიან და ორგანიზმისთვის ზიანის მიყენების გარეშე გამოდიან. ახალი კანფეტები კომპანია Organo Balance-მა ბავშვებისთვის შექმნა.

უძველესი წარწერა გაშიფრეს

სწავლულებმა ისრაელიდან უძველესი წარწერა გაშიფრეს – ის სპილოს ძვლისგან დამზადებულ სავარცხელზე, ქანაანურ ენაზეა შესრულებული. სპეციალისტების თქმით, არტეფაქტის ასაკი, დაახლოებით, 3.7 ათასი წელია. სავარცხლის ერთ მხარეს 6 მსხვილი კბილია, მეორე მხარეს – 14 წვრილი კბილი. სავარაუდოდ, წვრილი მხარე თმიდან პარაზიტების მოსაშორებლად გამოიყენებოდა. არტეფაქტი თელ-ლახიშში, 2017 წელს აღმოაჩინეს, მასზე არსებული წარწერის გაშიფვრა კი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ მოხერხდა. სავარცხელზე შვიდი სიტყვაა ამოკაწრული. დაე, ამ ეშვმა გააქროს ტილები თმიდან და წვერიდან, – ასე იშიფრება ეს უძველესი წარწერა. ქანაანური დამწერლობა ჩვენს ერამდე, დაახლოებით, 1800 წელს შეიქმნა, მანამდე, რამე გააზრებული ტექსტი არსად აღმოუჩენიათ. სავარცხელზე არსებული წარწერა პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ 3700 წლის წინ, ანბანს იყენებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, – ამბობენ სპეციალისტები.

ყველაზე მძიმე დღე სამშაბათია

გავრცელებული მოსაზრება, რომ „ორშაბათი მძიმე დღეა“, როგორც ჩანს, მცდარია. ბრიტანელმა სწავლულებმა ცოტა ხნის წინ განაცხადეს, რომ სწორედ ორშაბათ დღეს, დაახლოებით, დილის 10.00 საათზე, ადამიანების უმრავლესობა მაღალ შრომისუნარიანობასა და ტვინის აქტიურობას ავლენს. ამას ხელს უწყობს დასვენების დღეები, რაც „გადატვირთვის“ საშუალებას იძლევა. ასეთი პიკის შემდეგ, ყურადღების კონცენტრაცია და შრომის პროდუქტიულობა თანდათან იკლებს და უკვე სამშაბათს, 16.00 საათზე, ეს მაჩვენებელი მინიმუმს აღწევს. ამიტომ, სწავლულები დაბეჯითებით გვირჩევენ, ორშაბათ დილას დავგეგმოთ მნიშვნელოვანი საქმეები, რაც ყურადღებასა და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. სამშაბათის მეორე ნახევარი კი, შეგვიძლია, სამართლიანად მივიჩნიოთ სამუშაო კვირის ყველაზე მძიმე პერიოდად. თუმცა, თუ კვირის ყველა დღე მაინც მძიმე და დაძაბული გელით, შეგიძლიათ, შეეცადოთ საკუთარი ტვინის გააქტიურებას. სპეციალისტებმა რამდენიმე პუნქტიც კი გამოყვეს, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება მნიშვნელოვნად გავააქტიუროთ ტვინის მუშაობა. პირველ რიგში, ტვინს კოფეინი და ტეანინი ესაჭიროება. ეს ნივთიერებები მის სტიმულირებას ახდენენ და ხელს უწყობენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრების პროცესს. თუმცა, თუ დღის განმავლობაში, რამდენიმე ფინჯან ყავას მიირთმევთ, შესაძლოა, ამით ნერვოზი და შფოთიანობა მოიმატოთ და არასასურველი ეფექტი მიიღოთ. ტეანინი – ეს ამინომჟავაა, რომელიც ამცირებს ფორიაქის შეგრძნებას. ამიტომ, ოპტიმალური „საოფისე“ სასმელი მწვანე ან შავი ჩაია, რომელშიც კოფეინისა და ტეანინის ადამიანისთვის ოპტიმალური კომბინაციაა.

სახლი მგრძნობიარე ადამიანებისთვის



შვეიცარიაში, ციურიხის შემოგარენში აშენებულ ახალ საცხოვრებელ სახლში უმკაცრესი და დღევანდელობისთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი წესები შემოიღეს. ევროპის მასშტაბით, ამ ერთადერთი სახლის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ის ოჯახები იცხოვრებენ, რომელთა წევრებიც მეტად მგრძნობიარენი არიან მობილური ტელეფონების, სუნამოს სურნელის, ან სიგარეტის კვამლის მიმართ. ამის გამო, ახალ შენობაში აკრძალულია მოწევა, პარფიუმის გამოყენება და მობილურზე საუბარიც კი. „ბავშვობიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრება ვიტანჯებოდი. უსადენო ტექნიკასთან კონტაქტისას ან სიგარეტისა და სუნამოს სუნზე გამუდმებით სისუსტეს ვგრძნობდი, თავბრუ მეხვეოდა და სუნთქვა მიჭირდა. მეგონა, ნახევრად ცოცხალი ვიყავი. ამ სახლში ბინის შეძენის შემდეგ კი ყველაფერი უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს“, – ამბობს ჯანსაღი ცხოვრების ფონდის მეთაური, 59 წლის კრისტიან შიფერლე. ის და სახლის სხვა ახალი ბინადრები ძლიერი ქიმიური მგრძნობელობით (Multiple Chemical Sensitivity) იტანჯებიან. ეს ქრონიკული მდგომარეობაა, რომელიც ამ მომენტისთვის არ არის ფართოდ აღიარებული სამედიცინო საზოგადოების მიერ. რასაკვირველია, ახალ შენობაში ცხოვრება ამ ადამიანებს ვერ გამოაჯანმრთელებს, მაგრამ მათ ცხოვრებას უფრო კომფორტულს გახდის და ჯამრთელობის პრობლემებს მინიმუმამდე შეამცირებს. ამ „სამკურნალო“ სახლის აშენების ინიციატორების შეფასებით, დღეისთვის მხოლოდ შვეიცარიაში, დაახლოებით, 5 ათასი ადამიანია, რომლებსაც ეს ქიმიური ზემგრძნობელობა აწუხებთ.

ყველაზე მავნე კოქტეილი

ამერიკელმა სწავლულებმა ყველაზე მავნედ რძის კოქტეილი დაასახელეს, რომელიც არაქისის ნაღებითა და შოკოლადის ნაყინით მზადდება. სპეციალისტებმა დაითვალეს და აღმოაჩინეს, რომ ასეთი სასმელის ერთ ულუფაში, ზრდასრული ადამიანისთვის მთელი დღე-ღამის განმავლობაში საჭირო კალორიების რაოდენობა შედის. ამასთან, კოქტეილში ცხიმების რაოდენობა სამჯერ აჭარბებს დღიურ ნორმას. ასეთი რძის კოქტეილები კი, როგორც წესი, ფასტფუდის პროდუქტებთან ერთად იყიდება და მომხმარებლებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ფასდაკლება მელოტი კლიენტებისთვის

რესტორანი, რომელიც იაპონიის დედაქალაქში მუშაობს, სპეციალურ შეთავაზებას აკეთებს მელოტი კლიენტებისთვის. ამ გზით დაწესებულების მფლობელს სურს, პატივისცემა გამოხატოს ტოკიოს ოფისების თანამშრომლებისადმი, რომელთა უმრავლესობასაც, სტრესისა და გამოუძინებლობის გამო, ადრეულ ასაკში სცვივა თმა. ძირითადი მენიუთი კერძის შეკვეთისას, რესტორნის მელოტი სტუმრები საჩუქრად უფასო დესერტსა და სასმელს იღებენ. მნიშვნელოვანი ფასდაკლება ვრცელდება სადილის შვედურ მაგიდაზე, რომელსაც ადგილობრივი ტრადიციების თანახმად, იაპონელები დიდი კამპანიებით ესწრებიან. თუ ასეთ ჯგუფში ერთი მელოტი ადამიანია, საერთო ანგარიშს 500 იენს აკლებენ, ორ მელოტზე ფასდაკლება 750 იენია, სამზე – 1000, ოთხზე – 1500. ხოლო თუ კამპანიაში ხუთი ან ექვსი გამელოტებული კლიენტია, მათ სიურპრიზებითა და სპეციალური, „საიდუმლო“ მენიუთი ანებივრებენ. მომავალში რესტორნის მფლობელი აპირებს სპეციალური კერძებიც შექმნას თმებდაკარგული მომხმარებლებისთვის, რაც თმის სიჯანსაღესა და ზრდას შეუწყობს ხელს და მათ ამ პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.

ყველაზე „დაჩაგრული“ დიასახლისები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ როცა საქმე ბავშვის მოვლასა და სახლის დალაგებას ეხება, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს გენდერული ბალანსი ხშირად ავიწყდებათ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (The Organisation for Economic Co-operation and Development) დაინტერესდა ამ საკითხით და შეეცადა გაერკვია, რომელ ქვეყნებში ირღვევა ყველაზე მეტად გენდერული ბალანსი და კვირაში რამდენ საათს ხარჯავენ სუსტი სქესის წარმომადგენლები საოჯახო საქმეებზე. ორგანიზაციამ კვლევა 28 ქვეყანაში ჩაატარა. შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვის მოვლისა და საოჯახო საქმეებში ჩართულობის თვალსაზრისით, მსოფლიოში გენდერული თანასწორობა აპენინებზე ყველაზე მეტად ირღვევა. იტალიელი ქალები საოჯახო საქმეებზე, კვირაში 21 საათით მეტს ხარჯავენ, ვიდრე კაცები. იგივე დონეზეა ეს პრობლემა ამომავალი მზის ქვეყენაშიც. იაპონელი ქალებიც 21 საათით მეტად არიან დაკავებულები სახლის საქმეებით, ვიდრე მათი მეუღლეები. ინდოეთში ეს განსხვავება 18 საათს შეადგენს, ესპანეთში – 15-ს, თურქეთში – 14-ს, მექსიკაში – 13-ს და საფრანგეთში – 12.5-ს. ორგანიზაციის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ქმრებთან შედარებით, მათი მეუღლეები თითქმის არ ერთობიან, ან საკუთარ თავზე სათანადო ზრუნვისთვის ვერ იცლიან.

ცოლის მაღალი ხელფასი ქორწინებას ამყარებს

ამერიკელი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ცოლის დიდი შემოსავალი არ ანგრევს ოჯახს, როგორც ამას აქამდე გვიმტკიცებდნენ, პირიქით, ეს ფაქტი ამცირებს წყვილის დაშორების რისკს. მაგალითად, თუკი ცოლის ხელფასი 20%-ით აღემატება ქმრის შემოსავალს, მათი დაშორების ალბათობა 80%-ით მცირდება. ასეთი ციფრები გამოიყვანეს საკითხის შესწავლისას, რომლის დროსაც სპეციალისტები 4 ათასი ოჯახური წყვილის ურთიერთობას აკვირდებოდნენ. რაც უფრო მაღალი იყო ცოლის ხელფასი, მით უფრო მტკიცე აღმოჩნდა ქორწინება. შესაძლოა, მეუღლეების მაღალი შემოსავალი კაცებს მათთან დაშორების სურვილს უქრობს, – ვარაუდობენ ექსპერტები. ისინი აღნიშნავენ იმასაც, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთაც პატარა ბავშვები ჰყავთ, საკუთარი სურვილის მიხედვით კი არა, აუცილებლობის გამო მუშაობენ. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მათგან 30%-ზე მეტს დიასახლისობა სურდა, ყოველი 10 ქალიდან კი 6 არასრულ სამუშაო დღეს არჩევდა.

ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობს

ნოთინჰემის უნივერსიტეტის მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობს. ეს მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფია, რომლის საფუძველზეც ადამიანებმა რომანტიკული ზღაპარი მოიგონეს. ბრიტანელი სწავლულები მიიჩნევენ, რომ მეხსიერების მიერ გამუდმებით ხდება წარსულში მომხდარი ფაქტების გადაფასება. ყოველი ახალი შეფასება ეფუძნება საგნებისადმი უფრო ჭკვიანურ და გამოცდილ ხედვას, რაც თავის მხრივ, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ხდება. მკვლევარები ამბობენ, რომ თუკი ადამიანი პარტნიორთან პირველ შეხვედრას ერთი ნახვით შეყვარებად აფასებს, ეს მხოლოდ ეიფორიის შედეგია. სინამდვილეში, ადამიანი თავის ამჟამინდელ ურთიერთობას წარსულთან მიმართებაში განიხილავს და მას ეჩვენება, რომ გრძნობები გაცნობისთანავე გაჩნდა.

უნიკალური სასმელი გასახდომად

შვეიცარიელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ახალ სასმელზე მუშაობენ, რომელიც ზედმეტ წონას ფიზიკურ ვარჯიშებზე უკეთ შეებრძოლება. მათ აღმოაჩინეს ენზიმი – AMPK, რომელიც არეგულირებს ადამიანის მეტაბოლიზმს და საშუალებას იძლევა, დაიწვას ცხიმის მარაგები. ამჟამად კვლევები სასმელის შექმნაზე მიმდინარეობს, რომელმაც ორგანიზმში ამ ენზიმების გააქტიურება უნდა გამოიწვიოს. სწავლულთა განცხადებით, სასმელის ერთი პორცია დააჩქარებს მეტაბოლიზმს და ცხიმების დაწვას ისევე ძლიერად, როგორც 40-წუთიანი გასეირნება ველოსიპედით, უსწორმასწორო ადგილზე. თუმცა, მოძრაობის სრულად შეცვლა ამ სასმელს არ შეუძლია: მისი მეშვეობით რომ გახდეთ, მაინც მოგიწევთ ცოტა ირბინოთ ან ფეხით გაისეირნოთ. როდის გამოჩნდება ეს სასწაულმოქმედი სასმელი, ჯერჯერობით, უცნობია – აუცილებელია მრავალმხრივი ტესტების ჩატარება, რაც რამდენიმე წელიწადს კიდევ გაგრძელდება.

ბავშვის განვითარებაზე მისი წონა მოქმედებს

ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის სწავლულების კვლევების თანახმად, რაც უფრო მეტს იწონის ჩვილი დაბადებისას, მით უკეთესო იქნება შემდგომში მისი მოსწრება სკოლაში. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წონა გავლენას ახდენს ტვინის განვითარებაზე. ამის მიუხედავად, თუ ნაყოფი ბოლომდე (ანუ ცხრა თვემდე) რჩება დედის მუცელში და წონაშიც იზრდება, მისი კოგნიტიური უნარები უმჯობესდება. ეს ადვილი შესამჩნევი იყო ტყუპებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას. ტყუპები, რომლებიც უფრო მეტს იწონიდნენ დაბადებისას, ვიდრე მათი და-ძმები, მესამედან მერვე კლასის ჩათვლით მოსწრების საშუალო ქულები, მათთან შედარებით, უფრო მაღალი ჰქონდათ. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ წონა დაბადებისას ერთადერთი ფაქტორი არ არის, რაც გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე. მაგალითად, მშობლების განათლება პატარას ინტელექტზე უფრო ძლიერ გავლენას ახდენს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.